# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 იანვარი, 2013 წელი.

№4 (7131)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## მიშა „დამსახურებულ პენსი-აზეა“ ③



## პროკურატურამ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ყრილობის დაფინანსებაზე მონიტორინგის სამსახურს საქმის მასალების ასლები გადაუგზავნა ②

## სააკაშვილის ტყუილი და „შეწყვეტილი“ გრანდიოზული პროექტები ⑦

## რატომ გრძელდება „ობიექტივის“ მიმართ სუბიექტური შეთქმულება? ④

## დაიჭირენ თუ არა ძველ ახალ წლამდე ძველ ახალაიას ⑦

## „ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა კითხვებს ბადებს“ ⑥

## პენჯაბელმა ფერმერებმა საქართველოში ახალ იაფ საძოვრებს მიაგნეს ⑧





## აურზაური მწვრთნელების გამო ⑩

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალიან-ჩალიანი

## „ერთსულოვნების“ წევრები პრეზიდენტის გადაყენების გეგმაზე საუბრობენ

**შეხვედრა** სავაჭრო ცენტრ „დიდუბე პლაზაში“ გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ თემურ შაშიაშვილი, ჯონდი ბაღათურია, რეზო ესაძე, რეზო ჩხეიძე, ნოდარ ნათაძე და სხვები.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, შეხვედრის მიზანია შეჯამდეს განვლილი დღეების აქტივობა და დაიგეგმოს ახალი ღონისძიებები საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ ფარგლებში გადაყენებასთან დაკავშირებით.

თემურ შაშიაშვილის თქმით, საქართველოს პრეზიდენტს უფლებამოსილება 20 იანვარს ეწურება. მისი განცხადებით, „ერთსულოვნების“ წარმომადგენლებმა პრეზიდენტის რეზიდენციაში ჩააბარეს



შესაბამისი განცხადება. შაშიაშვილის თქმით, თუ აღნიშნულ განცხადებას მიხეილ სააკაშვილი არ დააკმაყოფილებს და არ დატოვებს პრეზიდენტის თანამდებობას, „ერთსულოვნება“ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს მოუწოდებს, თბილისში ჩამოვიდნენ და ფართომასშტაბიანი აქცია გამართონ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით.

## ჯაბა სამუშია თბილისის მერს მოუწოდებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს შეღავათები აღუდგინოს

**თბილისის** საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია თბილისის მერს გიგი უგულავასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდებს , სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიკროავტობუსებით მგზავრობისათვის გაუქმებული შეღავათები აღუდგინოს.

როგორც სამუშიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სოციალურად დაუცველთათვის მიკროავტობუსებით მგზავრობისთვის გაუქმებული შეღავათების აღსადგენად ბიუჯეტში საკმარისი რესურსი მოიძებნება.

„2013 წელს თბილისის მერიამ ახალი საჩუქარი მოუმზადა სოციალურად დაუცველ ოჯახებს. გიგი უგულავასა და „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს შეუწყდათ მიკროავტობუსებზე არსებული 50-პროცენტიანი შეღავათი, რომლითაც თბილისელების საკმაოდ დიდი ნაწილი სარგებლობდა. საუბარი და აქცენტი იმაზე, რომ ვითომდა ვაუჩერების გაცემა გამოსავალია, ტყუილია“, - აღნიშნა სამუშიამ.

მისივე თქმით, აღნიშნული შეღავათებით თბილისის მოსახლეობის ის კატეგორია სარგებლობდა, რომელსაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება.

სამუშია დედაქალაქის მერსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდებს, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს აღუდგინოს ის შეღავათები, რომლითაც ისინი 2012 წელს სარგებლობდნენ.

სულიერება

# 55 წელიწადი მძიმე ჯვრით, ღვთიურ გზაზე

## ერთან ღვთის სიტყვით მოლაპარაკე მწყემსი საქართველოსი



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია მეორეს დაბადებიდან 80, ბერად აღკვეცის 55 და პატრიარქად აღსაყდრების 35 წლის იუბილე „ფაზისის“ საერო აკადემიამ ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა.**

საოცარი სიმშვიდე სუფევდა საპატრიარქოში, ესაა ქვეყნის სულიერების გადარჩენის ციტადელი და აი, დათქმულ დროზე შემოდის ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი, ზეციური ნათლით გაბრწყინებული იუბილარი – სრულიად საქართველოს მწყემსი და პატრონი.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა **ნუგზარ ნადარაიამ** დიდი იუბილე მიულოცა ერის სულიერ წინამძღოლს და საჩუქრად გადასცა პატრიარქის დიდებული, ოქრო-ვერცხლის ჭედური პორტრეტი (ავტორი – საპატრიარქოს ხატმწერი **ლაშა კოკაია)** და ფაზისის აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ახალგამოცემული VI ტომი, რომელიც ძირითადად ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პატრიარქს მისალოცი ადრესი და საჩუქარი გადასცა ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით ხომერიკმა**. იუბილარს საკუთარი ლექსი უძღვნა პოეტმა და რედაქტორმა **გულნაზ ხარაიშვილმა**.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შობა-ახალი წელი მოგვილოცა და აღნიშნა: **„ძველი რომაელები ამბობდნენ, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებითო, მაგრამ მთავარია, როგორ ვიცვლებით, საით მიდის ქართველი კაცი. რწმენამ უნდა მოგვცეს ძალა, რათა ვიაროთ ღვთიური გზით, სიკეთისა და სიყვარულის გზით. სამი უმთავრესი ღირებულება გვაქვს ქართველებს: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ყველა სიმდიდრე რომ შევკრიბოთ, ერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს, არადა, შემოგვეჩვია ბოროტება, მკვლელობები. უნდა გადავეჩვიოთ ასეთ ყოფას! მართლმადიდებლურმა რწმენამ გადაარჩინა საქართველო. ღვთისა და ერის სიყვარული მძიმე ტვირთია, იგი ჯვარივით მძიმე სატარებელია, მაგრამ როცა გაგვიჭირდება, ღმერთი წაგვეშველება, ის მუდამ ჩვენთან არის. როცა ირგვლივ ამდენი უსამართლობაა და ღმერთს გაურბიან, შედეგიც სავალალოა. სადაც ღმერთია, იქ სიყვარულია, სადაც სიყვარულია, იქ არ არის ბოროტება, შური და სიძულვილი. „ფაზისის“ აკადემია დიდ საქმეს აკეთებს სულიერების ამაღლების, ტრადიციების დამკვიდრებისა და საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ისტორიის კვლევისთვის, ასე რომ, იგი მომავლის სამსახურში დგას. მთავარი საზრუნავი საქართველოს გამთლიანებაა. ჩვენ არა გვყავს დასაკარგი შვილები, ყოველი ადამიანი ჩვენთვის ძვირფასია, მე მჯერა, ჩვენ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და ადამიანებსაც“.**

მისმა უდიდებულესობამ იმასაც გაუსვა ხაზი თავის სიტყვაში, რომ ფაზისელებმა ერთ-ერთმა პირველმა მივულოცეთ იუბილე, რისთვისაც მადლობა გადაგვიხადა.

ისევ გაგვიტაცა ფიქრებმა: რა იქნებოდა ქვეყანა რწმენის გარეშე, რა იქნებოდა საქართველო ღვთიური გზის გარეშე. რწმენა იცავდა ხალხს და ხალხი რწმენას. ჩვენი ტოლერანტობაც ოდითგან ცნობილია, რამეთუ ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს მართლმადიდებელს, კათოლიკეს თუ მუსულმანს და ერთად უნდა ვუპატრონოთ მას. ადამიანების უმთავრესი საზრუნავი სამშობლო უნდა იყოს. ბევრმა დაკარგა ეს განცდა და ცხოვრობს სამშობლოს გარეშე, თუმცა, ყველა ამქვეყნიური სიმდიდრე მისგან მიიღო. ასეთმა მიდგომამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება არჩევნების პერიოდში. საქართველოს სულიერი ლიდერი მუდმივად შეახსენებდა პარტიებს, მოძრაობებს, მთავრობას თუ არასამთავრობოებს, რომ ქვეყანა ერთია, რომ ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ მისი წინსვლის პროგრამების შედგენაში და არა ერთმანეთისათვის ტალახის სროლაში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფაში. იგი დღესაც რჩება ქვეყნის გადარჩენის გარანტად.

დარბაზს მოეფინა პატრიარქის მიერ შექმნილი დიდებული საგალობელი ქართული ოპერის კორიფეების შესრულებით. ყველას ძალიან გვინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ზეციური ჰანგები, რომელიც, თითქოს, მთელ საქართველოს გადასწვდა ანგელოზთა ფრთებით და მომეჩვენა, რომ ჩვენთან ერთად მთელი ქვეყანა ფეხზე წამოუდგა და ქუდი მოიხადა მისი დიდი კაცობის წინაშე.

დაე, ღვთის რწმენამ გააერთიანოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა!

**ზურაბ აბრალავა**
**„სრ“ საკ. კორ.**

„შავი არხი“

## პროკურატურამ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ყრილობის დაფინანსებაზე მონიტორინგის სამსახურს საქმის მასალების ასლები გადაუგზავნა

**მთავარმა პროკურატურამ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საქართველოს 11 ქალაქში სექტემბერში გამართული პარტიული ყრილობის „შავი არხით“ დაფინანსებასთან დაკავშირებით ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები გადაუგზავნა.**

**აღნიშნულის შესახებ მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.**

„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 8 იანვარს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები გადაუგზავნა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2012 წლის 8 სექტემბერს, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს 11 ქალაქში ყრილობა გამართა.

ქალაქ ზუგდიდში ხალხის ჩასაყვანად, პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა, შესაბამისი ხელშეკრულებებით, დაიქირავა ე.წ. „ყვითელი მიკროავტობუსების“ კომპანიები, რომლებსაც პარტიის ანგარიშიდან გადაერიცხათ მხოლოდ მძღოლების შრომის საფასური 39 900 ლარი. რადგან მიკროავტობუსებისთვის საჭირო იყო დიდი რაოდენობის საწვავი, შემუშავდა პარტიული ღონისძიების „შავი არხით“ დაფინანსების თვალთმაქცური სქემა. სქემაში ჩაება შინაგან საქმეთა სამინისტრო.

გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად შესყიდული საწვავიდან, მინისტრის იმჟამინდელი მოადგილის – ნიკოლოზ ძიმცეიშვილის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის ლევან ქარდავას ორგანიზებით, 54 000 ლიტრი დიზელის საწვავის ტალონები გადაეცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ალექსანდრე ქობალიას. ქობალიამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განკუთვნილი დანაშაულებრივად მოპოვებული საწვავის ტალონები – გადაუნაწილა 393 მიკროავტობუსის მძღოლს.



გამოძიებით, ასევე, დადგენილია, რომ 2012 წლის 23 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქციის ორგანიზებისთვის საჭირო სატრანსპორტო ხარჯები – 120 000 ლარი ფარულად, საფინანსო დეკლარაციაში ყოველგვარი ასახვის გარეშე, თბილისის მერის მოადგილემ დავით ალავიძემ გადაიხადა და პარტიის სასარგებლოდ განახორციელა უკანონო შემოწირულობა.

რადგანაც გამოძიების პროცესში გამოიკვეთა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტი, შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით მასალები გადაიგზავნა პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შემდეგ ფაქტებზე:

1. 2012 წლის 6 სექტემბერს ნ. ძიმცეიშვილის მიერ გადაცემული 54 ტონა დიზელის საწვავის ტალონები ღირებული 126 900 ლარად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, რაც, შესაძლოა, აღმოჩნდეს უკანონო შემოწირულობა.

2. 2012 წლის 22 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსისთვის“ გადაცემული 120.000 ლარი ნაღდი ფული, რაც, ასევე, შესაძლოა, ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად.

3. 2012 წლის 28 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსისთვის“ გადაცემული 56.000 ლარი ნაღდი ფული, რაც, ასევე, შესაძლოა, ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება უკანონო შემოწირულობად ჩაითვალოს, რადგან იურიდიულ პირს შემოწირულობის გაცემის უფლება არა აქვს, ხოლო კერძო პირი უფლებამოსილია შემოწირულობა გასცეს 60.000 ლარამდე (საქართველოს ორგანული კანონი: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, თავი III, მუხლი 26-ე და 27-ე)“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ინფორმაცია

## შემოსავლების სამსახურს ლაშა ხუციშვილი უხელმძღვანელებს

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა განუცხადა, ბრძანებულებას ხუციშვილის დანიშვნის შესახებ ხელი გუშინ მოეწერა. აქამდე შემოსავლების სამსახურის უფროსის მოვალეობას კახა ცერცვაძე ასრულებდა, რომელიც ამჟამად ლაშა ხუციშვილის პირველი მოადგილეა.**

**შემოსავლების სამსახურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხუციშვილს დამთავრებული აქვს „თავისუფალი უნივერსიტეტი“. რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 2007-2008 წლებში იგი მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს აპარატში, ხოლო 2008 წლიდან 2013 წლის 8 იანვრამდე – საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია** Ernst & Young-**ში.**

ინტერპრესნიუსი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◉ „მალფუჭებადი“ პრეზიდენტი

# მიშა „დამსახურებულ პენსიაზეა“

**გილოცავთ გასულ შობა-ახალ წელს და დამდეგ ძველით ახალ წელსაც. გისურვებთ ყოველივე კარგს, რომელშიც, ბუნებრივია, ახალ, ღირსეულ ცხოვრებას ვგულისხმობ.**

ცხოვრებას სადაც არ იქნება კორუფცია, ადამიანების წამება და ძალადობა. სადაც არ იქნება ლაყაფი, ხელისუფლების გულაობაში და უაზრო მშენებლობებში გაფლანგული ბიუჯეტი. არ იქნება გენმოდიფიცირებული მჭადი, უიმედობა და ნიჰილიზმი.

მგონი, ძალიან გავუტიე.

ეჰ, რას იზამ. მაინც ახალი წელია და, ალბათ, მეც ბავშვობაში გადავვარდი.

არადა, რა ვინატრე ისეთი შეუსრულებელი? ეს ყველაფერი (და კიდევ ბევრი სხვა) ძალიან მარტივად შესასრულებელია. ძალიან მარტივად, ოღონდ ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმ ხალხმა, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ უბედურობებს ცხრა წელი ამკვიდრებდა.

არადა, საოცარი ხალხი ვართ ქართველები. გვინდა, რომ ყველაფერი სხვას გადავაბრალოთ. ვიღაც ისეთს, რომელზეც ხელი არ მიგვიწვდება და, ფაქტობრივად, პასუხსაც ვერ მოვთხოვთ (მაგ: სოროსს, ბუშს, მეთიუ ბრაიზას, მაიას ტომს დ.ა.შ).

საკუთარ თავს, საკუთარ არჩევანს, ანუ საკუთარ „თვალში დირეს“ მაინცადამაინც ვერ ვამჩნევთ.

ვერ ვამჩნევთ „ნიუ-ხელისუფლების“ წარმომადგენლების „დაძველებას“, ვერ ვამჩნევთ მთავრობაში გავრცელებულ „სკლეროზის ვირუსს“, ახალი სატელეფონო ნომრებისადმი „ლტოლვას“ და უამრავ ისეთ თვისებას, რისი გულისთვისაც პირველი ოქტომბერი ვიზეიმეთ.

საკმაოდ საინტერესო სტატუსები დაიდო სოციალურ ქსელ ფეისბუქზე. სტატუსები, რომლებსაც ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გთავაზობთ.

**„დეპუტატებო და მინისტრებო, მოგესალმებით.**

**როგორ ხართ, შობა-ახალი წელი როგორ გაატარეთ? იმედია, შარშანდელთან შედარებით უკეთესად.**

**ეჰ, როგორ დავეკარგეთ ერთმანეთს.**

**კაი, ვთქვათ მე არ მცალია, დაკავებული ვარ, მარა თქვენ ხომ ხართ მოცლილები (ახლა არ მითხრათ, პრეზერვატივის ბუსუსებზე იმდენი ვიფიქრეთ, გადავიღალეთო).**

**გამოდით, თითო ჭიქა ავწიოთ, ჩემი მობილური თუ გამორთული იქნა, არ იფიქროთ, რომ გემალებით.**

**მოყევით, თუ როგორ დაუმეგობრდით და ჩაეხუტეთ შაშკინის, რურუას, ადეიშვილის, ხეთაგურის, გვინდაძის მოყვანილ კადრებს, როგორი კო(ჰ)აბიტაცია გაქვთ ჭიაბერაშვილთან, გოროზიასთან, ბარამიძესთან დ.ა.შ.**

**დავსხდეთ, ვიჭუკჭუკოთ და ტკბილად შეგვერგება“.**

**„თუ ვინმე მეტყვით, რომელი მინისტრი ან დეპუტატი პასუხობს იმ „ძველ“ ტელეფონებზე, მაგარ პურმარილს ვუკისრებ იმ დეპუტატთან ან მინისტრთან ერთად“.**

არადა, გულზე ხელი რომ დავიდოთ და სიმართლეს თვალებში რომ ჩავხედოთ, რატომ გვიკვირს? სულ ასე არ იყო?

როდის გინახავთ, რომ არჩეული დეპუტატი, ან დანიშნული მინისტრი . . . (აქ სიცილის სმაილიკს ვწერ. ბევრი სიცილის).

ეგ კი არა და თბილისის მერია „უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციად“ „მოგვევლინა“.

თურმე მერიას სტრიპტიზ ბარებსა და კაზინოებში გულაობის გარდა, „პოლიტიკური“ განცხადებების გაკეთების მოვალეობაც ჰქონია.

ბუნებრივია, მერიის განცხადებას, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების

ბი“ ისევ თავიანთ მონოპოლიურ ფასებს აწესებენ. მიშას ბრალია ის, რომ ლიბერასტები აწ უკვე ყოფილ ოპოზიციურ არხებზე თავიანთ „იდეებს“ თავისუფლად გვაფრქვევენ. მიშას ბრალია ის, რომ უგემოვნო და გადაღრძუებული „ცნობადი სახეები“ ისევ „ჭყივიან“. მიშას ბრალია ის, რომ ყველასთვის ცნობილი კორუმპირებულები, მკვლელები, ხალხის მძარცველები მიზერული თანხების გადახდის შემდეგ, ისევ თავისუფლად გულაობენ.



დაპატიმრებებს ეხებოდა, ფეისბუქში შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა.

**„თუ თბილისის მერიის თანამშრომლები (საკრებულოს პოლიტიკურ ნაწილზე არ ვამბობ) ეთანხმებიან მერიის გავრცელებულ პოლიტიკურ განცხადებებს, მაშინ ისინი ანტისამთავრობო ქმედებას სჩადიან (არადა, ვინ ეკითხება მერიის დასუფთავების სამმართველოს რიგით ჩინოსანს, ვის დაიბარებს გენერალური პროკურორი) და თუ არ ეთანხმებიან, მაშინ თქვან, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მერია უგულავას აქვს უზურპირებულიო, თორემ მერე (აი უგულავას რომ დაიჭერენ, იმის მესამე დღეს) ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, „მე გულში მუდამ მეოცნებე ვიყავი, მარა წვრილშვილის პატრონი ვარ და რა მექნაო“, აღარ გაჭრის“.**

ბუნებრივია, რომ ამ ყველაფერმა შეგვაწუხა და ქართველებმა გამოსავალი მოვძებნეთ.

საკმაოდ მარტივი გამოსავალი და ყველაფერი ისევ საწყალ მიშას დავაბრალეთ.

მიშას ბრალია ის, რომ ავტობუსების ყვითელი შემმოწმებლები სკოლის მოსწავლეებს ისევ აჯარიმებენ და ამას მთელი ავტობუსი მშვიდად უყურებს. მიშას ბრალია ის, რომ ძველი „ბეზლესმენე-

კარგით რა, მიშას თავისი გაჭირვებაც ეყოფა, კაცს ტუალეტში შუქი ვერ დაუტოვებია...

ამ „დაბრალების პრინციპს“ 4-5 იანვარს მასობრივი პროტესტი უნდა გამოეწვია, მაგრამ დასვენების დღეებმა პოლიტიკურ აქტივობაზე უარყოფითად იმოქმედა. ოთხ და ხუთ იანვარს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის მიზნით დაგეგმილმა აქციებმა ძირითადად მონატრებული ხალხის შეხვედრის და „ახალი წლის სადმე აღნიშვნის“ დატვირთვა შეიძინა. სამაგიეროდ, დანაკლისი სოციალურ ქსელ ფეისბუქში „შეივსო“.

ყველაზე საინტერესო მიშას დამცველთა პეტიცია გახდა, რომელიც მოძრაობა „პატრიოტებმა“ გაავრცელა.

**„ჩვენ ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლით არის საქართველოს კონსტიტუციურად არჩეული პრეზიდენტი და მისი ლეგიტიმაციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური ქმედება, ასევე, უპატივცემულობაა საქართველოს მოსახლეობის იმ დიდი ნაწილის მიმართ, ვინც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად აირჩია! ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ადამიანები, ვინც ითხოვენ საქართველოს პრეზიდენტის გადადგომას, აყენებენ პირდაპირ ზიანს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და ფეხქვეშ თელავენ საქართველოს კონსტიტუციას. აქედან გამომდინარე, დავიწყეთ საქართველოს იმ მოქალაქეთა ხელმოწერების შეგროვება, რომელთათვის კონსტიტუცია და კანონი არის უმთავრესი პრინციპი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობისთვის და, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფოს მეთაურად ყოფნას მისი კონსტიტუციით დადგენილი ვადის ამოწურვამდე(2013 წლის ოქტომბერი)! გვინდა, ყველასთვის ნათელი იყოს, რომ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს, არ არის უფლებამოსილი, პრეზიდენტის ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს და არ წარმოადგენს მთელი საქართველოს მოსახლეობას“.**

**ბუნებრივია, რომ „მიშისტ-ნაცმოძისტებს“ არც „ფეისბუქ-მეოცნებეები“ ჩამორჩნენ.**

**„ოქტომბრამდე ცივ და ბნელ ადგილას რომ შევინახოთ, არ შეიძლება? მაინც მალფუჭებადია და რა ვიცი?“**

**„რას ერჩით მიშას კაცოოოუ, აღარ მუშაობს. დამსახურებულ პენსიაზეა და აწი უნდა დუბაიში წავა, უნდა ანტარქტიდაზე და უნდა მამაჩემის მამასთან“.**

საკმაოდ „მკაცრი შეფასებები“ მოჰყვა სააკაშვილის ავღანეთ-დუბაიში მოგზაურობას და ამნისტიაზე ვეტოს დადებას.

**„მიშამ საგანგებო მდგომარეობა მინდაო და ავღანეთში წავიდა“.**

**„მობილურები დუბაიდან, იაფად. იკითხეთ ავლაბრის მეტროსთან ახლოს“.**

**„მიშა ამნისტიის კანონს მოაწერს ხელს, უმცირესობა იტყვის ვინ ეკითხება მაგას, აღარ არის პრეზიდენტიო. უმრავლესობა დაიბნევა. აი ნანატრი პოლიტიკური კრიზისი“.**

**„არადა, ამნისტია ყველაზე მეტად მიშას აწყობს. დაწყებული 273—ე (ნარკოტიკების მოხმარება), გაგრძელებული ფინანსური დანაშაულებით. თვითონ პირადად არავინ მოუკლავს და არ უწამებია“.**

ბევრი რამის დაწერა შეიძლება.

ძალიან ბევრი რამის, რადგანაც მოლოდინი მაინცადამაინც არ გამართლდა.

მე პირადად არაფერს არ ვიტყვი. ამ წერილს ფეისბუქის ორი სტატუსით დავამთავრებ და თუ „ნიუ-ხელისუფლება“ წაიკითხავს, იქნებ დაფიქრდეს.

**„კიდე კაი, ტელევიზიები არსებობენ, თორემ რამდენი საქველმოქმედო აქცია არ ჩატარდებოდა“.**

**„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველაფერი ისევ ისე, ანალოგიური სცენარით, - „ცხოვრება მშვენიერია“-ს სტილში გრძელდება! არაფერი არ შეცვლილა და, ალბათ, არც შეიცვლება უბრალო ადამიანებისათვის!!! საცოდავი ხალხი კი როგორ ელოდა სასწაულს!?“**

მე მაინც გილოცავთ გასულ შობა-ახალ წელს და დამდეგ ძველით ახალ წელს. ოცნებების ასრულებას გისურვებთ.

**გია გაბრიჭიძე**

## ◉ ალიან-ჩალიანი

# ბაგრატის ტაძარმა, შესაძლოა, „იუნესკოს“ მფარველობა დაკარგოსო

**ამის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორ ფრანჩესკო ბანდარინისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ინფორმაციით, შეხვედრას მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარიც ესწრებოდა.**

**როგორც გურამ ოდიშარიამ აღნიშნა, ძეგლების რესტავრაციას მეტი სიფრთხილე სჭირდება, რადგან ხშირად მათთვის ფუნქციის დაბრუნება საფრთხეებს უკავშირდება.**

**„რესტავრაციის შედეგად ხდება ძეგლის მფარველობის დაკარგვის საფრთხე „იუნესკოში“. დაახლოებით რაღაც მსგავსი ხდება ბაგრატის ტაძართან მიმართებაში. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რადგან კომიტეტის სხდომა პირველ თებერვალს არის დაგეგმილი. არ ვიცი, რამდენად მოვასწრებთ საბუთების მომზადებას იმასთან დაკავშირებით, რომ შენარჩუნდეს ბაგრატი, როგორც ძეგლი. არსებობს რამდენიმე ვარიანტი და ამაზეც ვისაუბრეთ. თუ საბუთების მომზადება ვერ მოვასწარით, ვთხოვთ, ეს საკითხი გადადონ“, — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.**

**მინისტრის მოადგილის განმარტებით კი, „იუნესკოს“ მფარველობაში ბაგრატის შესანარჩუნებლად კომპრომისულ ფორმას ეძებენ.**

**„გვთავაზობენ, მოიძებნოს კომპრომისული ფორმა ძეგლის სტატუსის შესანარჩუნებლად. „იუნესკოს“ ექნება მცდელობა, რომ ელეგანტური ფორმით მოხდეს ახალი საზღვრების დადგენა გელათის ნომინაციაში, სადაც ბაგრატი შესულია არქეოლოგიური ძეგლის სტატუსით. შეეცდებიან, გაკეთდეს ისე, რომ ბაგრატზე მახვილი აღარ დაისვას და ძეგლის სტატუსი გელათმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ იტვირთოს, რომელშიც, სავარაუდოდ, ბაგრატიც იქნება მოქცეული. ბაგრატი იქნება როგორც ამ ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი ძეგლთაგანი და არა როგორც**



**ბაგრატი თავისთავად, რადგან „იუნესკოს“ ნორმებს დღევანდელი ბაგრატი აღარ შეესაბამება და ის ასეთი სახით კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ველარ დარჩება“, — აღნიშნა მარინა მიზანდარმა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი კი განმარტავს, რომ ბაგრატის ტაძარი „იუნესკოს“ სიაში აღარ იქნება, როგორც ნანგრევი.**

**„წამყვან ექსპერტებთან ერთად ვმუშაობთ იმაზე, რომ მან მიიღოს და დაიბრუნოს საკადრისი ადგილი, როგორც დასრულებულმა სანიმუშო სარეკონსტრუქციო პროექტმა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. „იუნესკოს“ ექსპერტები ამბობენ, რომ ის უფრო მდიდარია ნაირგვარი მონაცემებით და ფასეულობით, ვიდრე თავის დროზე სიაში არსებული აღდგენილი ძეგლი“, — განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# რატომ გრძელდება „ობიექტივის“ მიმართ სუბიექტური შეთქმულება?

**გნებავთ, შეთქმულება საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ, რადგან პირველი მეორეს გულისხმობს და, პირიქით, მეორე პირველთან ასოცირდება. თავად წინააღმდეგობის მოძრაობამ კი, გასული წლის მიწურულს მეტად სარისკო ნაბიჯი გადადგა: პოლიტიკურ პარტიად – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსად“ (სპა) დარეგისტრირდა. დიახ, სარისკო, რადგანაც ისედაც „მრავალპარტიულ საქართველოში“, შინაარსობრივი სიახლის გარეშე, ოდენ მყვირალა აბრევიატურის ამარა, ამაოა ქართველი ამომრჩევლის გულის მოგების იმედი. „შინაარსობრივ სიახლედ“ კი, საზოგადოებას იმას სთავაზობს „სპა“, რომ იგი არც პროამერიკული და არც პრორუსული, არამედ პროქართული პარტია იქნება!**

თუმცა, ეს ისე, „სიტყვამ მოიტანა“, ანუ, ცნობისათვის, რადგანაც სულაც არ გახლავთ წინამდებარე წერილის დაწერის მთავარი მიზეზი „სპა“. ახლა მართლაც მთავარზე...

თუ დრო არ მეშლება, ჯერ კიდევ გასული წლის მაისში, მას შემდეგ, რაც ნებსით თუ უნებლიეთ ნაადრევად „გაბაზრდა“ წინააღმდეგობის მოძრაობის განაზრახი, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანისა ბრიუსელის სასამართლოში, სოსო მანჯავიძემ გამანდო – **„ეგ არაფერი, თუ ნაცების ლობისტებმა სტრასბურგში ამ სარჩელის დაბლოკვა შესძლეს, შემოდგომაზე ისეთ ბომბს ავაფეთქებთ, რომ ნაცებს საერთოდ დავამთავრებთო“!..**

სულო ცოდვილო და მაშინ ეს უბრალო ბაქი-ბუქად აღვიქვი – ვერ წარმოვიდგინე, რა ბომბი უნდა ჰქონოდა ისეთი ამ ხალხს, რომ ის მონსტრი დაემთავრებინა, რასაც მთელმა საქართველომ წლების მანძილზე ძვრა ვერ უყო?..

ჰოდა, ეს ხალხი თვეების მანძილზე ჩუმად, გადაუჭარბებლად ვიტყვი, სიცოცხლის რისკის ფასად აკეთებდა საქმეს. დიახ, სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, რადგანაც, არა თუ მოქმედება, არამედ ასეთი ინფორმაციის უბრალოდ ფლობაც კი, ნაცების ფაშისტური რეჟიმის პირობებში, აშკარად საფრთხის შემცველი იყო!

სწორედ პირადად ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა მოახერხეს ჯერ ლადო ბედუკაძის და მისი ოჯახის გაყვანა საქართველოდან, შემდეგ იმ კადრების ექსპერტიზა და ევროპარლამენტის „მაღალ“ კაბინეტებში შეტანა, საიდანაც, სავარაუდოდ, გაჟონა კიდეც ინფორმაციამ, რამაც ნაცების საპასუხო ქმედებები განაპირობა, როგორც დღეს უკვე დანამდვილებით, გამოძიებით არის ცნობილი, ადეიშვილის მიერ დადგმული, წამების კადრების სახით, რაც „ქართულ ოცნებას“ უნდა დაბრალებოდა!

თუმცა აქაც ჩაუვარდათ კოვზი ნეხვში, რადგანაც სტრასბურგიდან ირმამ და დათომ ის ნამდვილი კადრები მიაწოდეს „მაესტროს“, რომლებმაც მართლაც დაამთავრეს ნაცები...

სანაცვლოდ კი რა მიიღო ამ ხალხმა? ღვარძლი, შური, ტალახის სროლა – 2 მილიონი გადაუხადა ბიძინამ და იმიტომ ქნეს, რაც ქნესო!

ერთი წუთით დავუშვათ დაუშვებელი (ჩემის ღრმა რწმენით) და ვთქვათ ასეც იყო, რა მერე, მთავარი ხომ შედეგია? მაგრამ არა, ეს იმას ჰგავს, დღემდე რომ არ წყდება ხელმოცარულთა ღვარძლი და შხამის ნთხევა იმის სარკვევად, გიორგი სააკაძემ მას მერე გადაწყვიტა მარტყოფში გმირობა, რაც შაჰის წერილი ჩაიგდო ხელში, თუ მანამდეც უნდოდა ქართლის გადარჩენა!?

**სწორედ პირადად ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა მოახერხეს ჯერ ლადო ბედუკაძის და მისი ოჯახის გაყვანა საქართველოდან, შემდეგ იმ კადრების ექსპერტიზა და ევროპარლამენტის „მაღალ“ კაბინეტებში შეტანა, საიდანაც, სავარაუდოდ, გაჟონა კიდეც ინფორმაციამ, რამაც ნაცების საპასუხო ქმედებები განაპირობა, როგორც დღეს უკვე დანამდვილებით, გამოძიებით არის ცნობილი, ადეიშვილის მიერ დადგმული, წამების კადრების სახით, რაც „ქართულ ოცნებას“ უნდა დაბრალებოდა!**

ამ კითხვას პასუხი ისეთმა ბუმბერაზებმა გასცეს, როგორებიც თუნდაც ტატო და ვაჟაა, ხოლო მთავარი პასუხი მადლიერი ქართველი ერისა, მერაბ ბერძენიშვილის დიდი მოურავის ბრინჯაოს მხედარია კასპსა და თბილისში...

დრო მოვა და ნაცების წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილ სურათსაც დადებს ისტორია (შედარება არ მგონია, უმართებულო იყოს: დღესაც ისეთივე ამოგდება გვემუქრებოდა (თუ ისევ გვემუქრება?), როგორც 400 წლის წინათ). მანამდე კი, იმის სანახავად, ის 2 მილიონი სად წაიღეს, მედია კავშირ „ობიექტივის“ „ფეშენებელურ“ სტუდიაში მიბრძანდით, ან ირმა ინაშვილის ბინაში, დიდი დიღმის „პრესტიჟული“ რაიონის კიდევ უფრო „პრესტიჟულ“ ბოლო სართულზე, სადაც სახურავიდან წყალი ჩამოსდის, გნებავთ სოსო მანჯავიძის ნაქირავებ ოთახნახევრიან „აპარტამენტებში“, ნუცუბიძის იმდენად „ვერხნი პლატოზე“, რომ ლისი უფროა, ვიდრე თბილისი...

**31 დეკემბერს, „მაესტროს“ ეთერში ერთგვარი შემაჯამებელი, წინასაახალწლო გადაცემა შედგა, თავისი ნომინაციებით და დაჯილდოებებით, რომელთაგან მხოლოდ ერთს გამოვყოფ – როგორც მოსალოდნელი იყო, ნომინაციაში, „ყველაზე რეზონანსული გადაცემა“, შალვა რამიშვილის „სუბიექტურმა აზრმა“ გაიმარჯვა, სადაც ის ცნობილი ციხის კადრები გავიდა, რომელმაც მთელი მსოფლიო შესძრა და საქართველო შოკში ჩააგდო. რამაც გადამწყვეტი (!!!) როლი შეასრულა 1 ოქტომბერს არჩევნებში მიშნაცების დამარცხებაში!**

რომ იტყვიან, ბავშვმაც კი იცის ეს, მაგრამ ამის აღიარება ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებაში“ უჭირდათ, დღესაც უჭირთ და არც „მაესტროს“ ზემოთ ხსენებული ეთერის აუდიტორია იყო გამონაკლისი – შალვა რამიშვილმა ნომინაციაში გამარჯვებულის პრიზი კი აიღო, მაგრამ მიუხედავად ზემოთ თქმულისა, „ციხის კადრები ჩემმა წყარომ მომაწოდაო“ – **სხვა ვერაფერი „გაიმეტა“, არც გვარი, არც სახელი, მით უმეტეს არც ის უთქვამს თუ როდის აქეთ გახდნენ ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი, შალვა რამიშვილის წყარო?**

ვერც გოგა ხაინდრავამ და განსაკუთრებით დავით მაღრაძემ ივარგეს ამ მხრივ. დიახ, განსაკუთრებით პოეტისგან დავრჩი გაწბილებული, რადგანაც დათო მაღრაძისგან არაერთხელ გვსმენია ადრე, სხვა ეთერებში, პოეტური მეტაფორა, თუ როგორ ჩამოიმსხვრა მთელი ნაცმოძრაობა ცოცხის ტარზე. ახლა? მსგავსი არაფერი! ერთადერთი, ვინაც მეტ-ნაკლებად „ გული არ დამწყვიტა“, ეს ირაკლი ბათიაშვილის კომენტარი იყო. **დანარჩენებმა, ყველამ უკლებლივ შეასრულეს ის „ომერტა“, ანუ „ობიექტივის“, პირადად ირმა ინაშვილის, დავით თარხან-მოურავის (არაფერს ვამბობ ამ საქმეში სხვა განდობილ, მთავარ ფიგურანტ სოსო მანჯავიძესა თუ გიორგი ლომიაზე) წვლილის არაღიარების პოლიტიკა, რომელიც ვიღაცის თუ ვიღაც-ვიღაცების ნებით, დღემდე ხორციელდება!**

მაგრამ, თურმე ჯერ სადა ხარო და ირაკლი ბათიაშვილის „აღიარების“ გაბათილება მყისიერად სცადა გია ხუხაშვილმა – არა, მე ვერ დავაკნინებ ქართველი ხალხის არჩევანსო. მას, ციხის კადრების გარეშეც ჰქონდა გაკეთებული არჩევანიო.




აქედან „გონივრული ეჭვი“ გამიჩნდა, რომ თუ ის „ვიღაც-ვიღაცები“ არსებობენ, იმათგან ერთ-ერთი თავად ბრძანდება და იმაში ხომ ეჭვის ნატამალიც არ დამიტოვა, რომ არჩევნებამდეც და დღესაც, ალბათ სწორედ გია ხუხაშვილი წყვეტდა და წყვეტს ბევრ რამეს, მათ შორის ალბათ იმასაც თუ ვინ, როდის მივა ახლოს ბიძინა ივანიშვილთან, ან საერთოდ მივა თუ ვერა – ალბათ გია ხუხაშვილის „დამსახურებაც“ არის ის ფაქტი, რომ ყველანაირი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ირმა ინაშვილის და დავით თარხან-მოურავის აუდიენცია ბიძინა ივანიშვილთან, მას შემდეგ, რაც ბრიუსელიდან დაბრუნდნენ, დღემდე ვერ შედგა!

თუმცა, ეგეც იქით იყოს, ტელევიზიებმა, რომელთაც არჩევნებამდე ოპოზიციურობის პრეტენზია ჰქონდათ („მაესტრო“, „კავკასია“, „მეცხრე არხი“), საჭიროდ არ ჩათვალეს, რომელიმე მათგანის თუნდაც იმ მითიური მილიონების გამო სტუდიაში მიწვევა – ვასიკო ოდიშვილის შეურაცხმყოფელი ღლიცინი სამშობლოში დაბრუნებული ირმა ინაშვილის მიმართ, აი, ის, რაც ოპერატიულად მოახერხეს „მაესტროში“! ისე კი სრული იგნორი, თანაც იმ ფონზე, როდესაც უწიგნურ თეა თუთბერიძეს მთელი კვირით თანაწამყვანად იწვევენ...

ამ სტატიაზე მუშაობისას, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ირმა ინაშვილის ღია წერილი „წამომეწია“, რომლის მთავარ ფიგურანტებსაც ეტყობა ერთი უხერხული ადგილი აეწვათ და გია ხუხაშვილმა შემრიგებლური ტონით – ირმას ველაპარაკე, ის შეცდომაშია შეყვანილიო, ხოლო მამუკა ღლონტმა ისევ ნაცარი შეგვაყარა თვალებში – მე, მაესტროს სარედაქციო პოლიტიკაში არ ვერევი (მაშ მტყუანის!? – **დ. მ.**), ვასიკო ოდიშვილი ხანდახან მეც მაღადავებსო!..

დემოკრატიულ დასავლეთშიც კი, არ არსებობს მედია, რომლის მფლობელებიც მეტ-ნაკლებად არ მართავდნენ სარედაქციო პოლიტიკას და მამუკა ღლონტის ზღაპრების ვინმეს გჯერათ საქართველოში? თუ იმას ვერ ვარჩევთ, სად უწყინარი ღადაობაა და სად ბოროტი ღლიცინ-ქილიკი?

რაც შეეხება გია ხუხაშვილს, ალბათ, მისი ხელიც ურევია იმაში, რომ არჩევნებამდე ვერ შედგა უფრო ფართო ოპოზიციური გაერთიანება. ანუ, ამ „ცოდვის“ მხოლოდ რესპებისთვის აკიდება, ალბათ არ არის მთლად უპრიანი.

მგონი, ზედმეტად ბევრჯერ მომიხდა ალბათ, ის ამ ჭოჭმანის შემცველი სიტყვის ხმარება, რაც ვინმემ შეიძლება ჟურნალისტურ ეშმაკობადაც ჩამომართვას, აქაოდა თავს იზღვევსო. იქნებ არც მთლად უმაგისობაა, მაგრამ ეს უფრო ის შემთხვევაა, რომ ყოველ „ალბათში“ სარწმუნო უფრო მეტია, ვიდრე საჭოჭმანო...

## ეგრე არ არის თაყაო ...

ანუ, ახლა იმაზე თუ რა, როგორ, როდის და ვის „ჰქონდა არჩევანი ისედაც გაკეთებული“ – ქართველ ხალხს, მართლაც დიდი ხანია, როგორც მინიმუმ 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, ან გნებავთ 2009 წლის საკნების აქციების დროსაც, „ჰქონდა არჩევანი ისედაც გაკეთებული“, მაგრამ იქ, ამერიკის ნეოლიბერალურ წრეებშიც „ჰქონდათ არჩევანი ისედაც გაკეთებული“, ოღონდ პირიქით, მათივე პოლიტიკური პროექტის, მანქურთი ნაცების ნებისმიერ ფასად შენარჩუნებაზე. ის ციხის კადრები მაშინ რომ გასაჯაროებულიყო, ერთს „მაგრად შეშფოთდებოდა“ დასავლეთი, მაქსიმუმ ერთ კვირას ივიშვიშებდნენ და შემდეგ იმ „ორგვივოდებს“ დასჯერდებოდნენ და ჩვენც დაგვაჯერებდნენ, რასაც მაშინდელი მინისტრების: დიმა შაშკინის და ვანო მერაბიშვილის გადაყენება ერქმეოდა!

**ანუ, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გარეშე ციხის კადრები პრაქტიკული შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა და პირიქით, „ქართული ოცნება“ ციხის კადრების გარეშე „საპატიო“ მეორე ადგილს დასჯერდებოდა!..**

ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციის ლიდერად მოსვლის შემდეგ, იმას, რაზეც დიდი ხანია „არჩევანი ისედაც გაკეთებული გვქონდა“, საფუძვლიანი იმედით დავუწყეთ ყურება. თუმცა, იმასაც ვაცნობიერებდით, რომ იქ, ამერიკაში, სადაც, სამწუხაროდ, ბოლო 20 წელიწადია წყდება „ბედი ქართლისა“, ისევ ძველებურად ფიქრობდნენ. ამიტომაც იყვნენ ნაცები არხეინად და გიჟებს უწოდებდნენ მათ, ვისაც შემოდგომაზე ივანიშვილის პრემიერობისა სჯეროდა!

ბიძინას ფაქტორის გამო, ოკეანეს გაღმა, ციხის კადრების გარეშეც, ნაცების საკონსტიტუციო უმრავლესობით შენარჩუნებაზე თქვეს უარი. ოღონდ ფორმალურად – 60% 40-ზე, ნაცების სასარგებლოდ, ახალი სცენარის მიხედვით, ის 40%-ც კი, „ქართულ ოცნებას“ ქდმ-ახლების ფსევდო ოპოზიციისთვის უნდა „გაეყო“. ამ „რასკლადით“ ქართულ ოცნებას უკეთეს ვარიანტში 20-25 % თუ ერგებოდა. ანუ, რეალურად მიშნაცები საკონსტიტუციო უმრავლესობასაც შეინარჩუნებდნენ.

არა, ასეთი სცენარის განხილვის დროს, ჰილარი კლინტონის ქვედაკაბის ქვეშ ნამდვილად არ შევპარულვარ ოვალურ კაბინეტში. ამ ყველაფერზე შინაური თუ უცხო სერიოზული პოლიტოლოგ-ექსპერტები საუბრობდნენ არჩევნების წინ და ენდიაი-აირაის „კვლევებიც“ ასეთი შედეგის მიღებისთვის ამზადებდნენ ქართველ საზოგადოებას და ეს ელემენტალური არითმეტიკა, მიუხედავად ყინჩი რიტორიკისა, „ქართულ ოცნებაშიც“ კარგად იცოდნენ. ეს რომ ასე იყო, იქიდანაც გამოჩნდა, რომ მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ, დიდი ხანი ვერ შესძლეს მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება – გამარჯვებაზე ორიენტირებულ ძალას, როგორც წესი, მთავრობის კაბინეტი იმ თავითვე მზადა ჰყავს!

იმის თქმა ნამდვილად არ მინდა, რომ ბიძინა ივანიშვილი გვატყუებდა, როდესაც წინასაარჩევნო შეხვედრებზე არჩევნების გზით ნაცების დამარცხებაზე საუბრობდა. იქნებ გულწრფელადაც სჯეროდა, მაგრამ შინაგანად რომ მზად იყო „საპატიო“ მეორე ადგილის მიღებისთვის, შეიძლება არც ეს იყოს წარმოუდგენელი – ყინჩი რიტორიკის პარალელურად, ისიც არა ერთხელ განუცხადებია ინტერვიუებში, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოუწოდებდა ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ! ეს ქართველ ხალხს აღიზიანებდა, რადგანაც საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ მიშნაცები მშვიდობიანად არ დათმობდნენ ხელისუფლებას და რომ ხალხი არ ცდებოდა, არჩევნების დროს, ხაშურში გამოჩნდა – ადვილი წარმოსადგენია, რომ არა ციხის კადრები, რამდენ ასეთ ხაშურს ჩაიდენდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით!..

სწორედ ციხის კადრებმა გახადეს რეალური „ქართული ოცნების“ ოცნება, არჩევნების გზით, ან ამ გზაზე ქუჩიდან დახმარებით, ნაცების უსისხლოდ გაშვებაზე. უფრო მეტიც, ციხის კადრებით გამოწვეულმა შოკურმა თერაპიამ გამოაფხიზლა საღათას ძილით მძინარე სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელთა მღელვარებით მოცულ თბილისში, რომ იტყვიან, ხელისუფლება ქუჩაში ეგდო და რომ „ქართულ ოცნებაში“ იმის პოლიტიკური ნება, რომ არსებულიყო, ქუჩის პროტესტს სათავეში ჩასდგომოდნენ, დღეს ნაცბანდის ნასახი არ იქნებოდა პარლამენტში!

თუმცა, რომელ პოლიტიკურ ნებაზეა საუბარი, როცა ციხის კადრებმა შეძრა საქართველო და ამ კადრების ავტორთა ვინაობაც ცნობილი გახდა, რესპუბლიკელების ლიდერმა – კიდევ კარგი, რომ საარჩევნო სიები უკვე დახურულია, თორემ წინააღმდეგობის მოძრაობის კადრებით გაივსებოდაო!..

**ბიძინას ფაქტორის გამო, ოკეანეს გაღმა, ციხის კადრების გარეშეც, ნაცების საკონსტიტუციო უმრავლესობით შენარჩუნებაზე თქვეს უარი. ოღონდ ფორმალურად – 60% 40-ზე, ნაცების სასარგებლოდ, ახალი სცენარის მიხედვით, ის 40%-ც კი, „ქართულ ოცნებას“ ქდმ-ახლების ფსევდო ოპოზიციისთვის უნდა „გაეყო“. ამ „რასკლადით“ ქართულ ოცნებას უკეთეს ვარიანტში 20-25 % თუ ერგებოდა. ანუ, რეალურად მიშნაცები საკონსტიტუციო უმრავლესობასაც შეინარჩუნებდნენ.**

**აი, საით ქროდა ბატონი უსუფაშვილის გონება და თუ ახლა ამიხირდება (შალვა რამიშვილისგან განსხვავებით), ჩემი საინფორმაციო წყაროს ვინაობასაც გავამხელ, მიუხედავად იმისა, წყარო მომცემს თუ არა ამის უფლებას, რადგან ქვეყანა სწორედ ნახევარ სიმართლის რიტორიკამ დაღუპა!**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ეჭვგარეშეა წინააღმდეგობის მოძრაობის, მედია კავშირ „ობიექტივის“ მიმართ არსებული „შეთქმულების“ რეალობაც და „შეთქმულების“ მონაწილეთა სავარაუდო პერსონალიებიც. საკითხავი მხოლოდ ერთია – რატომ ხდება ასეთი არნახული დამახინჯება სინამდვილისა? თანაც ასე უხეშად, შეურაცხმყოფელი ფორმებით? ნუთუ მხოლოდ მავანთა ანტიპათია ან „უჩემოდ ვინ იმღერეთაა“ მიზეზი?

**დავით მხეიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სამაგალითო ჩინეთი



**გასულ წელს, მსოფლიოში არაერთ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი, რომელიც, უდავოდ პოვებს ასახვას კაცობრიობის ისტორიაზე. რევოლუციური ქარტეხილები არაბულ სამყაროში, ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია, სამყაროს სავარაუდო წარღვნის მოლოდინი, მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოებში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**

გამოვყოფ მხოლოდ რამდენიმეს, ვინაიდან, ჩემის აზრით, მათ ექნებათ უდიდესი გავლენა თანამედროვე მსოფლიოზე. უპირველესად, აღვნიშნავ რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის შემობრუნებას. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მოქმედ მსოფლიო პოლიტიკოსთა შორის პუტინი ყველაზე გამოცდილია. მას ძლიერად და გავლენიანად მოიხსენიებენ დასავლეთში. ამერიკული ჟურნალი „ფორინ პოლისი“ კი პუტინს, სიძლიერის და გავლენიანობის გამო პოლიტიკოსთა შორის მეორე ნომრად ასახელებს. და როდესაც პირველ ნომრად არავინ სახელდება, მეორე კაცობა, პირველის სადარია. ჟურნალის მიხედვით, საკუთარი პრეზიდენტი ობამა, გერმანიის კანცლერი მერკელი, სხვა ცნობილი პოლიტიკოსები ჩამორჩებიან რუსეთის პრეზიდენტს.

**პუტინის სახელი ნეგატიურად ჟღერს საქართველოში არა მარტო ტერიტორიების ოკუპაციის გამო — მანამდეც არ წყალობდნენ ამ პოლიტიკოსს ქართველი კოლეგები და მათზე აყოლილი მედია. ზოგს მისი სიმკვეთრე არ მოსწონდა, ზოგს - სიგრძე, ზოგს - კიდევ რა. ბევრი თვლიდა და თვლის, რომ პუტინი „ისტორიულად“ არის განაწყენებული საქართველოზე და „განაწყენების“ ერთ-ერთ მიზეზად კასპში ცუდად მცხოვრებ პუტინის „დედასაც“ ასახელებენ. პუტინის „დედის“ კასპში ცხოვრება, რაღაცით წააგავს ადოლფის იმერელი ცოლის „ისტორიას“ — გამონათქვამით — „ამას გაფიცებ (ქალი ჰიტლერისგან დაორსულებულ მუცელზე ისვამს ხელს)** ადოლფ, ფერო არ დაბომბოო“.

წვერებიან ანეკდოტში, ანეკდოტზე მაღალი ცნებაა ჩადებული, ანუ ის, რომ ქართველობა ყველაფერში ეძებდა (დღესაც ეძებს) „საკუთარის“ უნიკალურობას, საკუთარი გენიალურობის ფესვებს. როგორც ამბობენ, მსგავსი სურვილ-ოცნებანი პატარა ერების დამახასიათებელია, რაც არ არის გასაკვირი, მაგრამ გასაკვირია - როდესაც გყავს სტალინი, პიროვნება, პოლიტიკოსი, რომელმაც მსოფლიო ისტორიას საკუთარი დაღი დაასვა, სხვას აღარ უნდა ეპოტინებოდე.

**სტალინი პოლიტიკოსი და არა ადამიანის უფლებების დამცველი, ქვეყნის მმართველი და არა დღევანდელი გაგებით „დემოკრატიის“ გამტარებელი, დედამიწის ერთი მეექვსედისა და კიდევ იმდენის ფოლადის მუშტში მომქცევი, ქართველთაგან სხვა შეფასებას უნდა იმსახურებდეს. შაჰ-აბასის ბებიის ქართველობაზე ნაკლები გასახსენებელი რატომ უნდა იყოს სტალინი? სტალინი ნამეტნავად ეთაკილებათ ნაცებს და განსაკუთრებით მათ ფიურერს, არადა პატარა ფიურერიკოს მიერ შექმნილი სადამსჯელო მანქანა, ტოლს არ უდებდა დიდი ნაცისას.**

გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის, ცხადია ლოკალური მასშტაბით, პატარა ნაცის დამარცხებაც იყო.

გასულ წელს ძლივს, მაგრამ მაინც გამარჯვებას მიაღწია, თანაც მეორედ, აშშ-ის ფერადკანიანმა პრეზიდენტმა ბარაკ, ჰუსეინ ობამამ. ოთხი წლის წინათ მისმა გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა აშშ მანამდე არსებული სტერეოტიპების მსხვრევას.

გასული წლის გამარჯვებაში ობამას ფერს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ პირველ სახელმწიფოში, გვიან, მაგრამ მაინც, გადაილახა რასობრივი ბარიერი, ესოდენ ძლიერი, თუნდაც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე შემორჩენილი. თვალი გადავავლოთ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ავტობიოგრაფიულ წიგნს და უმალ მივხვდებით, რა მძიმე პირობებში უხდებოდა, შემდგომში სახელოვან გენერალს, სამსახურებრივი საფეხურების ავლა კანის ფერის გამო.

ფერადკანიანმა ობამამ გზა გაუხსნა ამერიკაში დაბადებულ შავკანიანებს და არა მარტო მათ, არამედ ვიწროთვალებიანებსაც თეთრი სახლისკენ, რაც დიდი მოვლენაა.

გასულ წელს ჩინეთშიც მოხდა ცვლა, ანუ ჩინეთის ხელისუფალთა როტაცია. ჩინური პოლიტიკური სისტემა კარდინალურად განსხვავდება სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ევროატლანტიკური პოლიტიკური სისტემისგან. ერთის შეხედვით, დახურული პოლიტიკური სისტემა ნაკლებად იძლევა ფართო და გამჭვირვალე განსჯის საშუალებას, მაგრამ მმართველ, 82-მილიონიან კომუნისტურ პარტიაში, ჭირს ყველაფრის დამალვა, თუმცა იმალება დეტალები, ის კი, რაც ქვეყანამ და მსოფლიომ უნდა იცოდეს, მეტნაკლებად აფიშირდება.

ჩინეთში მოქმედებს ათწლიანი მმართველობითი როტაციის სისტემა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა რეფორმატორად შერაცხილმა დენ სიაოპინმა. გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაუმთავრდათ ათწლიანი ვადა კომპარტიის უკვე ყოფილ გენერალურ მდივანსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს (იგივე პრეზიდენტი) ჰუ ძინტაოს და მის თანამებრძოლებს. კომპარტიის ყრილობის 2200 დელეგატმა აირჩია ცკ-ის 200 ახალი წევრი და 170 წევრობის კანდიდატი, რომლებმაც თავის მხრივ აირჩიეს პოლიტბიურო 7 წევრის შემადგენლობით. პარტიის გენერალური მდივანი გახდა სი ძინპინი.

ჩინეთის მმართველობა ეფუძნება კოლექტიურობას და ხორციელდება კონსენსუსით. მართვაში არა მარტო პოლიტბიუროს 7 წევრი იღებს მონაწილეობას, არამედ ცკ-ის წევრებიც და წევრობის კანდიდატებიც. ჩინეთის ახალი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მომავალი 10 წლის განმავლობაში იქნება, რის შემდეგ მას ახლები ჩაანაცვლებენ. ახლები კი 10 წლის განმავლობაში გაივლიან პოლიტიკურ წვრთნას მაღალ თანამდებობებზე, ისე, როგორც დღეს, ხელისუფლებაში მოსულებმა გაიარეს გასული 10 წლის განმავლობაში. ჩინეთში უკვე იციან 10 წლის შემდეგ ვინ გახდება პარტიის გენერალური მდივანი და პრემიერ-მინისტრი, ისე, როგორც ეს იცოდნენ განვლილი 10 წლის განმავლობაში.

მომავალ 10 წლის მანძილზე ჩინეთს დასახული აქვს ერთიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის კიდევ უფრო გაზრდა და ქვეყნის ნომერ პირველ ეკონომიკად გადაქცევა. თუ თვალს გადავავლებთ განვლილი ათწლედის წარმატებებს, მომავალ ათწლედში, მსოფლიოს მეორე ეკონომიკად აღიარებული ჩინეთისათვის სულაც არ იქნება რთული პირველ ადგილზე მყოფ აშშ-ის ჩამოტოვება.

ეკონომიკური ზრდის ტემპი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის აშშ-თან შედარებით, ორჯერ ან სამჯერ მაღალია. იზრდება ჩინეთის სავაჭრო პოტენციალი. ჩინეთი 127 ქვეყანასთან აწარმოებს ვაჭრობას, მაშინ, როდესაც აშშ — 76 ქვეყანასთან. ვაჭრობასთან ერთად იზრდება ამ ქვეყნის პოლიტიკური გავლენაც. ჩინეთი ავიწროებს ამერიკა-ევროპას მშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ექვსი წლის წინათ სხვაგვარი სურათი იყო. მაშინ აშშ იყო 127 ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, ჩინეთი კი — 70-ის.

ვაჭრობასთან ერთად თვალშისაცემია კარდინალური ძვრა, რაც შეიმჩნევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შედეგად, იცვლება ცხოვრების წესი, იცვლება ბიზნესი აფრიკიდან ამერიკამდე. როდესაც აშშ-ის აიოვას შტატის ფერმერი, მიწის დიდ ნაწილზე სოიოს მოიყვანს, ჩინეთში გასაყიდად, რაღაცას ნიშნავს. რაღაცას ისიც ნიშნავს, როდესაც ამერიკელი მოსწავლეები ჩინურის სწავლის კურსებზე ეწერებიან. მსგავსი ტენდენციაა სხვა ქვეყნებშიც.

**სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო, რომ აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის ინიციატივით ინტენსიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა თბილისში არსებულ ჩინეთის საელჩოსთან. იყო მოლაპარაკება, ბათუმში, ჩინური სკოლის გახსნის თაობაზე, სადაც ყველა საგანს ჩინელი პედაგოგები ასწავლიდნენ. აღნიშნული პროექტის განხორციელება პეკინმა, გუანდუნის პროვინციას მიანდო. სწორედ ეს პროვინციაა ცნობილი თავისუფალი ეკონომიკური ზონით, უნივერსიტეტებით და სხვა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო (აბაშიძის განდევნა), ერთობ მნიშვნელოვანი პროექტი ვერ განხორციელდა, ისე, როგორც ჩინელთა მიერ შემოთავაზებული თავისუფალი ეკონომიკური ზონა.**

ჩინეთის მსოფლიო მოვაჭრედ გადაქცევა ცვლის პოლიტიკურ ლანდშაფტს. ჩინეთის გავლენა შესამჩნევია აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში. ექსპერტთა გამოთვლით, მსოფლიო ვაჭრობაში ჩინეთის წვლილი 8%-მდე გაიზრდება, რაც გაცილებით მეტია ამერიკა-ევროპაზე. ჩინეთი მკვეთრად შეიჭრა იმ ქვეყნებში, სადაც აშშ-ის სავაჭრო პოზიცია მტკიცე იყო, მაგალითად — სამხრეთ კორეაში. ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი შინ-ი აცხადებს, რომ: „აშშ არის უძლური ვეფხვი, ჩინეთი კი — ძალას იკრებს“. ადრე ის დეტროიდში ცხოვრობდა და სათადარიგო ნაწილებით ამარაგებდა ამერიკის ავტოქარხნებს. ამჯერად სამხრეთ კორეაშია და ჩინეთის ავტომშენებლობის შეკვეთებს ასრულებს.

ჩინეთი, მსოფლიო სავაჭრო სცენაზე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან გამოჩნდა - მაისურებითა და სათამაშოებით, მოგებული ფულით მან დაიწყო ნავთობისა და სხვა წიაღისეულის შესყიდვა, რამაც თავისთავად გამოიწვია აზიისა და აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გამოცოცხლება.

მანქანათმშენებლობისთვის ფოლადზე მოთხოვნილებამ ისეთ ტემპს მიაღწია, რომ ჩინური ქარხნები მსოფლიო რკინის მადნის ნახევარს ამუშავებდნენ. სპილენძის უმსხვილესი მწარმოებელი ზამბია, რახანია ჩინურ შეკვეთებს ასრულებს, ავსტრალია კი ჩინეთს აწვდის ქვანახშირსა და რკინის მადნს, ჩილე — სპილენძს. ჩინეთში გადაიტანეს საკუთარი ქარხნები „Apple“-მა“, „SAMSUNG“-მა, „NOKIA“-მ, სხვა ელექტრონულმა გიგანტებმა.

ჩინური წარმოების ტელევიზორებმა, მობილურმა ტელეფონებმა, კომპიუტერებმა წალეკეს მსოფლიო ბაზარი. შემოსავალმა 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ჩინეთი გადაიქცა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის დამამზადებლად. ჩინეთმა წარმატებას მიაღწია სამშენებლო საქმეშიც - განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ეს ქვეყანა აშენებს გზებს, სახლებს, მეჩეთებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე.

ჩინეთი პირველი იყო იმ ქვეყნებს შორის, ვინც არა მარტო ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ საელჩოც გახსნა თბილისში. რომ არა საქართველოს ხელისუფალთა უცნაურობა და ცალმხრივი (დასავლური) ორიენტაცია, დღევანდელი მსოფლიოს მეორე ეკონომიკასთან, მით უმეტეს, ხვალინდელ პირველთან, საქართველოს პრაგმატული ურთიერთობები უნდა ჰქონოდა. სიტყვა „დივერსიფიკაცია“ ბევრს არაფერს ნიშნავს. მას პრაქტიკული საქმით ესაჭიროებოდა განმტკიცება. **მასშტაბური ურთიერთობისთვის არც ხელისუფლება აღმოჩნდა მზად და არც ქართული დიპლომატია. ან რა მოეთხოვებოდათ ჩინეთში მომუშავე დილეტანტ ელჩებს, რომ აღარაფერი ვთქვათ „დიპლომატიის“ კორიფე ბეგაშვილზე.**

**საქართველოს დიპლომატია მისი „შედევრული“ მოღვაწეობა ამ სტატიის თემა არ არის, სხვა დროს გამახვილდება მასზე ყურადღება. მაგრამ ის მაინც უნდა ითქვას, რომ დიპლომატიის სრული სიყრუით და ხელისუფალთა სიბრმავით 20 წელი ლაზღანდარობაში შემოგვეფშვნა, არადა რა გამწარებით და სასოწარკვეთით გვემუდარებოდა პეკინში მომუშავე სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენელი ნიკოლოზ გულიაშვილი (საელჩოს გახსნამდე გაცილებით ადრე) — ჩინეთს მიაქციეთ ყურადღება — ეს ქვეყანა მსოფლიოს მომავალი ეკონომიკური გიგანტიაო. ახდა მისი სიტყვები, თუმცა არა საქართველოს ხელისუფალთათვის - ისინი ისევ „დეპოში“ არიან.**

დიდი ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩავარდნებიც ჰქონდა და გაფურჩქვნის წლებიც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოდან დაწყებული გარდაქმნები, რომელსაც სათავეში ედგა პრაგმატული მოაზროვნე დენ სიაოპინი. დიდი გაქანების მქონე მოაზროვნის მახვილგონივრული გამონათქვამები მთელს მსოფლიოშია ცნობილი, მათ შორისაა — „არ აქვს მნიშვნელობა, რა ფერის არის კატა, მთავარია, თაგვებს იჭერდეს“. სწორედ ამ გამონათქვამს მოჰყვა კომუნისტური ჩინეთის გაკაპიტალისტება, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, მაო ძედუნის მოძღვრებათა კონფუციანიზმით ჩანაცვლება.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 551-479 წლებში მცხოვრები ბრძენი კონფუცი ოცნებობდა ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარე, ერთმანეთთან მოქიშპე რომელიმე სამეფოს მმართველთან გავლენიანი თანამდებობის მოპოვებას და როდესაც სურვილი აისრულა, იძულებული გახდა, მიეტოვებინა სამეფო კარი, მის საწინააღმდეგოდ აგორებული ტალღის გამო. კონფუციმ ხელი მიჰყო პედაგოგობას. გენიოსის მიერ ჩამოყალიბებულმა აზრებმა უდიდესი პოპულარობა პოვა მისი გარდაცვალების შემდეგ.

კონფუცის მოძღვრება საფუძვლად დაედო სინგაპურსა და ტაივანს. 1978 წელს, გადასახლებიდან დაბრუნებული დენ სიაოპინისთვის მისაბაძი გახდა კონფუცის მოდელის ტაივანი. კომუნისტებთან დამარცხების შემდეგ, კუნძულ ტაივანზე გაქცეულმა ჩან კაიშიმ, კონფუცის სწავლების მიხედვით, საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფცია „სიაოკანი“ გახდა დენ სიაოპინის უმთავრესი ამოცანა, მან შეძლო ჩინელთა ენერგიის ქვეყნის მოდერნიზაციისკენ მიმართვა.

დენ სიაოპინის შემდეგ, ყველა ჩინელი მმართველი ასახელებს კონფუციანიზმზე დაფუძნებულ საკუთარ პროგრამას. მსგავსი რამ უცხო არ იყო ჩინელი იმპერატორებისთვისაც. დენ სიაოპინის მმართველობის დევიზი იყო — „რეფორმები და კარგახსნილობა“. შემდგომი ლიდერის, ძიან ძემინის — „სამი წარმომადგენლობა“, ანუ კომპარტიაში გაწევრება შეეძლოთ არა მარტო მუშებს და გლეხებს, არამედ ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ მეწარმეებსაც. სულ ახლახანს დასრულებულმა ჰუ ძინტაოს მმართველობამ პარტიული დოკუმენტები გაამდიდრა კონფუცისგან ნასესხები - „ჰარმონიზაციის“ კონცეფციით.

კომპარტიის XVIII ყრილობაზე არჩეული პარტიის ახალი ლიდერი სი ძინპინი მალე გამოაცხადებს თავის დევიზს, რომელიც მომავალი ათი წლის განმავლობაში ჩინეთის განვითარების ახალი გეზი იქნება - დაფუძნებული კონფუციანიზმზე. ეს მოძღვრება ითავსებს ტრადიციულ მორალურ ორიენტირებს და თანამედროვე ღირებულებებს, გლობალური ეკონომიკური გამოწვევების გასამკლავებლად აქცენტირებს სახელმწიფო სტაბილურობის აუცილებლობაზე, ერის ერთიანობაზე,.

ჩინეთის თანამედროვე ისტორია აშკარა მაგალითია იმისა, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესში სულაც არ არის საჭირო ძველის ლანძღვა და მაზოხისტური თვითგვემა, ისე, როგორც ეს ხდება ყოფილ საბჭოთა სივრცეში. დღევანდელი რუსი ე.წ. ლიბერალების მთავარი მიზანი - გუშინდელი სისტემის, კომუნისტური ლიდერების თავდავიწყებული გინებაა. მათი შეურაცხყოფა, მათზე უხამსი ჭორებით აღსავსე ისტორიების შეთხზვა, ჩვეულებრივ ამბვად იქცა.

ნაცვლად იმისა, რომ ერის ენერგია მიიმართოს ახალი ცხოვრების მშენებლობისკენ, ლიბერალთა წყალობით, ეროვნული ყურადღება უსაგნო დემაგოგიაში იფანტება. ყოველივე ამას თავისი ხელშემწყობი ჰყავს — კონკურენტი დასავლეთის სახით, რომელმაც კარგად უწყის, რომ ეროვნული აღორძინების და პროგრესის შემაჩერებელი ბარიერის გარეშე მას გაუჭირდება. დასავლეთი რუსეთს ყოველთვის აღიქვამდა მოწინააღმდეგედ და ამ საქმეში კომუნისტურ იდეოლოგიას ნაკლები წვლილი აქვს.

20 წელია, აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი და კომუნისტური იდეოლოგია. ის კაპიტალისტურმა რუსეთმა ჩაანაცვლა, მაგრამ დაძაბულობა რუსეთსა და დასავლეთს შორის თითქმის ისეთივეა, როგორც 20 წლის წინათ.

**ჩინეთმა ალღო აუღო თანამედროვე მსოფლიო ვითარებას, პრაგმატულად გამოიყენა დასავლეთი და ერის ენერგია აწმყოსა და მომავლის მშენებლობისკენ ისე წარმართა, რომ ამ პროცესში გამორიცხა ძველის გინება.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ავღანეთში რა გინდოდა!..

# „ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა კითხვებს ბადებს“



**„თავისთავად ის, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები იღუპებიან, კითხვებს ბადებს“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ავღანეთში ტრაგიკულად დაღუპული გიორგი კიკაძის დაკრძალვაზე. თუმცა, არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმა ამ უპასუხო კითხვებში. მისი თქმით, უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენი ჯარისკაცების სამსახური უსაფრთხო გახდეს და მსხვერპლი, რაც შეიძება, ნაკლები იყოს. ამის მიუხედავად, პრემიერი ადასტურებს, რომ საქართველოს ჯარების მონაწილეობა მსოფლიოს უსაფრთხოების სისტემაში ჩვენი ქვეყნისთვის საამაყოა, რაზეც ქართული მხარე მომავალში არათუ უარს ვერ იტყვის, არამედ უნდა გაძლიერდეს კიდეც ჩვენი როლი.

თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ავღანეთში ჩვენს კონტინგენტთან დაკავშირებით უსაფრთხოების ყველა ზომა იქნება მიღებული, რათა ასეთი ტრაგედია მომავალში აღარ განმეორდეს. მისივე განმარტებით, მომხდარის გამოძიება, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დასრულდება, რის შემდეგაც სიმართლის გარკვევა იქნება შესაძლებელი.

ISAF-ის ოპერაციაში დაღუპულ ქართველთა შორის გიორგი კიკაძე უკვე რიგით მეცხრამეტეა. რაც შეეხება ავღანეთის სამშვიდობო მისიაში სამი წლის განმავლობაში დაჭრილებს, თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პირველად მოპოვებული ინფორმაციით, სულ დაიჭრა საქართველოს 93 სამხედრო მოსამსახურე. მათ შორის, 2010 წელს — 20 სამხედრო; 2011 წელს — 44 სამხედრო; 2012 წელს — 29 სამხედრო (26 ნოემბრის მდგომარეობით).

For.ge დაინტერესდა, რას გულისხმობდა პრემიერი, როცა აცხადებდა, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა კითხვებს ბადებდა და იყო თუ არა ამ მისიაში უსაფრთხოების ზომები შესაბამისად დაცული.

**საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე** აცხადებს, რომ, ბუნებრივია, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მსხვერპლი დიდი იქნება, რადგან ჩვენი კონტინგენტი დიდია. გარდა ამისა, გააჩნია უსაფრთხოების ზომებსაც, საბოლოოდ კი ყველა კომპონენტი ერთად იყრის თავს.

**„მილიონი ფაქტორია, რის გამოც ჯარისკაცი იღუპება და, ბუნებრივია, ყოველთვის ჩნდება კითხვები. ყველა დაღუპვის ფაქტის შესწავლა და მოკვლევა მიმდინარეობს“,** — აცხადებს დავით თევზაძე.

**სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე** მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ჯარისკაცი იღუპება, უსაფრთხოების ზომების დაუცველობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ არაფერი ვთქვათ, მოწინააღმდეგის ფაქტორის გათვალისწინებაზე. მისი აზრით, საკითხავია, ბოლომდე რატომ არ იყო დაცული უსაფრთხოების ზომები, ან ვინ შეიმუშავა უსაფრთხოების ზომა? ამ შემთხვევაში, ორი პასუხი არსებობს, ერთი, რომ მომზადების დონე დაბალი იყო, და შესაბამისად, ამა თუ იმ სამხედრო მოსამსახურეში უსაფრთხოების ზომების დაცვის განცდა მოდუნებული იყო და მეორე — ეს არის ფსიქოლოგიური და მორალური გადაღლილობა.

**კერძოდ, ექსპერტის აზრით, როდესაც გარკვეული ხნის განმავლობაში ჯარისკაცი სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება და, თუ ეს მეორდება, ანუ ზედიზედ ორი ან სამი მისია უწევს, ამ შემთხვევაში, გასარკვევია, რას ნიშნავს ჯარისკაცის გადაღლილობა, რატომ არ მოხდა რეაბილიტაცია და აღდგენის პროცესი რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობდა.**

მისი თქმით, **იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად დიდია ქართველ დაღუპულთა სტატისტიკა ავღანეთში, გამართლებული არ იქნება, რადგან ყოფილა შემთხვევები, როცა ჩამოგდებული ვერტმფრენის გამო ამა თუ იმ კონტინგენტს რამდენიმე ათეული ჯარისკაცი ერთბაშად დაღუპვია. ამიტომ, ცალკეული ტრაგედია შესასწავლია და ანალიზია გასაკეთებელი. შესაძლოა, ეს ინფორმაცია ღია ვერ გახდეს, მაგრამ უწყებამ დახურულ რეჟიმში შეიძლება, აღნიშნული საკითხი გააანალიზოს.**

ამასთან, სამხედრო ექსპერტი აცხადებს, რომ ჰელმანდის პროვინციის გარდა (სადაც ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ერთად ქართველებიც იმყოფებიან) ავღანეთის ნებისმიერი ადგილი ცხელი ზონაა.

**„მარტო ქართველების იმედად ჰელმანდი არ არის. ეს სამხედროებისთვის ღირსების ამბავია, რომ ქართულ კონტინგენტს შეუძლია ისეთივე დავალება მიიღოს, როგორც ამერიკულს და ჩვენი საბრძოლო უნარიანობა სხვა კონტინგენტთან ერთად თანაბრად ფასდება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა, ქართველები უსაფრთხოდ იყვნენ, მაგრამ პროფესიონალური თვალსაზრისით, კარგია, რომ ჩვენ გვეპყრობიან, როგორც თანასწორს“,** — აღნიშნა გიორგი თავდგირიძემ.

**სამხედრო ექსპერტი თეონა აქუბარდია** მიიჩნევს, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვასთან დაკავშირებით არსებული კითხვების შესახებ ბიძინა ივანიშვილის განცხადება ფართოდ გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებაა, რომლებიც აცხადებენ, ღირს თუ არა ამხელა მსხვერპლის გაღება ISAF-ის მისიაში? მით უფრო, როდესაც საქართველოსთვის ეს უკვე მე-19 დაღუპულია ამ სამშვიდობო მისიაში. ეს მაშინ, როცა ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის მოსახლეობის რაოდენობით მცირერიცხოვანი საქართველო ნომერ პირველი კონტრიბუტორია ავღანეთის სამშვიდობო მისიაში. გარდა ამისა, დაჭრილების ოდენობამ გასული წლის 26 ნოემბრის მონაცემებით, 94 ჯარისკაცს მიაღწია.

**„ეს ინფორმაცია აქამდე გასაიდუმლოებული იყო და საზოგადოებას არ ჰქონდა ოფიციალური მონაცემები, თუ რამდენი ჯარისკაცი იყო დაჭრილი და რამდენი მკურნალობდა საზღვარგარეთ ჰოსპიტალში, დღეს უკვე ეს ინფორმაცია განსაჯაროვდა. უნდა გავითვალისწინოთ ის ზონა, სადაც საქართველოს სამშვიდობო მისიაა განთავსებული, ანუ ჰელმანდის პროვინცია, სადაც, ფაქტობრივად, საომარი ვითარებაა და თალიბებთან მუდმივი შეტაკება უწევთ ჩვენს ჯარისკაცებს. ამიტომ არის დიდი მსხვერპლის ალბათობა“,** — აღნიშნა თეონა აქუბარდიამ.

**მისი თქმით, გასული წლის სექტემბერში საქართველომ 700-დან 1600 ჯარისკაცამდე გაზარდა სამშვიდობო კონტინგენტი ავღანეთში. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში დებატები არ ყოფილა, რადგან, როგორც ჩანს, საზოგადოება დიდ ინტერესს ამ თემის მიმართ არ იჩენდა. ამდენად, პარლამენტმა მიიღო კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება.**

**მარიამ ლოლაშვილი**

## ელამი კალმით

# ჩვენებური შერეკილები ყველაზე ჭკვიანი შერეკილები არიან!

**ქვეყანაში** შექმნილი რთული გარემოებისა გამო, იძულებული ვარ, შერეკილების თემას ერთხელ კიდევ მივუტრიალდე. რა დასამალია, შერეკილები, იგივე ჭკუას აცდენილები, ზომიერად გიჟები თუ უზომოდ შეშლილები, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში იწვევდნენ საზოგადოების გამორჩეულ ინტერესს (მათზე ფილმებიც კი არის გადაღებული), მაგრამ ისეთი მასშტაბებით, როგორც დღეს — არასოდეს. საინტერესოა ისიც, რომ შერეკილები და შეშლილები, ადგილობრივნი იქნებიან ისინი თუ უცხოელნი, მუდამ გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა, აქვე არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ ჩვენებური შერეკილები, ქართული გენისა და ჯიშის წყალობით, უცხოელი კოლეგებისგან მაინც გამოირჩევიან თავიანთი ნიჭიერებით, ევროატლანტიკური განათლებით, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და მჭევრმეტყველებით.

დიახ, რეალობას სად გავექცევით, ჩვენი შერეკილები, ზომიერად გიჟები თუ უზომოდ შეშლილები, მთელ მსოფლიოში ყველაზე გონიერი შერეკილები და ზომიერი გიჟები არიან, რომლის დაუნახაობა ევროპა-ამერიკის მხრიდან დიდი უმადურობა იქნებოდა.

ეს განსაკუთრებით ითქმის ნაციონალ შერეკილებზე, რომლებიც იმ მიზეზით, რომ სახელმწიფომ უსახსრობის გამო თავის დროზე ვერ უმკურნალა, იქ არა სხედან, სადაც უნდა ისხდნენ. ექსპერტი ფსიქიატრების განმარტებით, ამავე მიზეზით, დღეს საქართველოს გარეთ უფრო მეტ შერეკილსა და შეშლილს შევხვდებით, ვიდრე საშერეკილეთში.

ჰოდა, რადგან იქ არა სხედან, სადაც უნდა ისხდნენ, ამიტომ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასეთი შერეკილებისა და შეშლილებისგან დროთა განმავლობაში ცალკეულ პარტიათა ლიდერებიც გამოიჩეკნენ, პარლამენტის სპიკერებიც, შიგადაშიგ ქვეყნის პრეზიდენტებიც, არასამთავრობოელებიც და თუ საჭირო შეიქნა (არჩევნები თუკი ვერ გააყალბეს) ოპოზიციონერებიც, რომლებსაც ვერაფრით ვერ დაარწმუნებ, რომ ნამდვილად შეშლილები არიან და არა ეროვნული მოღვაწენი(!)

მაგალითები გნებავთ? კი ბატონო, სულ ახლახან, ახალი წლის დადგომამდე ერთი კვირით ადრე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთელი დუნიის გასაგონად, ომახიანად და თავმომწონედ განაცხადა — მე ქვეყნის მთავარსარდალი ვარ და თავს მოვალედ ვრაცხ, 2013 წლის მობრძანება ჩემს ლომგულ ჯარისკაცებთან ერთად იმ მიწაზე (ავღანეთში) ვიდღესასწაულო, სადაც ისინი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობას იცავენო. ამის გამგონე სამხედრო საქმის მსოფლიო სპეციალისტები გაოგნებულ-განცვიფრებულნი დარჩნენ: ისტორიას არ ახსოვს, დედამიწის რომელიმე კუთხეში, რომელიმე მხედართმთავარს, გინდ უჭკვიანესსა და გინდ ნახევრად შეშლილს, გამოეჩინოს ასეთი გამბედაობა და თანაც ერთი კვირით ადრე ეცნობებინოს ამის შესახებ მოწინააღმდეგისთვისო. ეს ერთადერთი ქართველი მხედართუფროსი სააკაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ჩვენი ჯარისკაცებისა და საკუთარი სიმამაცე იმით ახსნა, რომ ქართველი ერი, მისი ჯიში და ჯილაგი ფარჩაკი და ჯაბანი (ეს პრეზიდენტის სიტყვებია, როგორც ჩანს, გორში გამოვლენილი საკუთარი სიმხდალე თუ სიფარჩაკე დაავიწყდა) არასოდეს ყოფილა. ვერაფერს დაუწუნებ, პრეზიდენტმა მტრის ტყვიების კაკანში ისე მიულოცა ახალი წელი ქართველ ჯარისკაცებს, რომ შუაწარბი ერთხელაც არ შერხევია(!)

ეს მაგალითი იმის დასტურადაც გამოდგება, როგორი თავმდაბალი, მორიდებული და მოკრძალებულია ჩვენი მთავარსარდალი, როცა საქმე პირადად მის გამბედაობასა და სიმამაცეს შეეხება. მას ჯარისკაცებთან მისალმებისას გაკვრითაც არ უხსენებია საკუთარი სიმამაცე და ერის წინაშე დამსახურება, ყველაფერი ეს, როგორც უკვე ვთქვი, ქართველი ხალხის ჯილაგიანი წარმომავლობით ახსნა. პრეზიდენტი გამონაკლისი არ გახლავთ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენებურ შერეკილებს, მით უფრო ნაციონალებს, სხვა ქვეყნების შერეკილებისგან განსხვავებით, საერთოდ არ სჩვევიათ ტრაბახი და ბაქიბუქი, საკუთარი თავის წარმოჩენა, ერთიანი ნაციონალური გუნდის მიერ ნაკეთებ დიდ ეროვნულ საქმეთა ვიტრინაში გამოფენა, ხოლო სხვათა წვლილის დაწიხვლა და გაუფასურება.

ერთადერთი ნაკლი, რაც შეიძლება ადამიანმა ქართველ ნაცშერეკილებს გამოუჩხრიკოს, ის გახლავთ, რომ ისინი საშინლად გულმავიწყნი არიან. კაცზე რომ იტყვიან, გუშინ რა ჭამა არ ახსოვსო, სწორედ ამათზეა ზედგამოჭრილი. ამ მამაცხონებულებმა ბოლო ცხრა წლის მანძილზე რა აღარ აკეთეს ქვეყნის ასაშენებლად (ზოგის აზრით, დასაქცევად!), მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მათ გინდ პროკურატურაში გამოუძახო და გინდ სასამართლოზე გაიყვანო, ენას ვერ დაასველებინებ. ჩიორა თაქთაქიშვილსა და თეა თუთბერიძეზე ვერ ვიტყვი (გამონაკლისები ყველგან არიან), მაგრამ თვით სააკაშვილსაც რომ გულმავიწყობა დასჩემდა და არა თუ ნაკეთები ნეტარსაქმეები, ასაშენებელი ლაზიკაც აღარ ახსოვს, ეს ვითომ რიღათი ავხსნათ? იმით ხომ არა, რომ პრეზიდენტი შორს იყურება, არ სურს ქვეყანაში წარმატებით წამოწყებული კოჰაბიტაციის პროცესი ჩაშალოს და მისი ხელით ნაშენები დემოკრატია, რაც ცივილიზებულმა მსოფლიომ ერთხმად აღიარა, ერთი ხელის მოსმით დაიკარგოს(!)

გააგებინებ ახალ მთავრობას ყოველივე ამას? აუჩემებიათ, გაიხსენეთ რა საქმეების ჩამდენნი ხართ, აღიარეთ თქვენი დანაშაული ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მოინანიეთ ცოდვები და ყველაფერს გაპატიებთ, თუ კაცი არ მოგიკლავთ ან სახელმწიფო ქონება არ გაგიძარცვიათო. წარმოგიდგენიათ, რას მოითხოვენ მეოცნებე მთავრობის დიდმოხელენი რეალურად მოაზროვნე ნაცშერეკილებისგან? — გაიხსენეთ, ვინ და რანი იყავით, როცა ხელისუფლებაში ისხედით და გპირდებით, პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან ამნისტიით გაგათავისუფლებთო. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ნაცშერეკილებს სრულიად ბუნებრივად უჩნდებათ განცდა, რომ ისინი ახალი მთავრობისგან დაუმსახურებელ ზეწოლასა და პოლიტიკურ დევნას განიცდიან. თუ ეს ნამდვილად ასე არ არის, მაშინ რა აუცილებელია, მიშნაცებმა გაიხსენონ წარსული ცოდვები და დანაშაულობანი, თუ ისინი უკვე კარგად დავიწყებული აქვთ და მაინც და მაინც არც გახსენების სურვილი გააჩნიათ? თქვე კაი ხალხო, რეიგანი რომ რეიგანი იყო, ბოლო პერიოდში იმასაც აღარ ახსოვდა, რომ ერთ დროს ამერიკის პრეზიდენტი იყო და ამათ რატომ უნდა ახსოვდეთ, რომ ქვეყნის დამაქცევრები, გამოუსწორებელი დამნაშავენი და ცოდვილები არიან?

არ დაგავიწყდეთ, ისიც გასათვალისწინებელია, ასეთ აღიარებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ხომ შეიძლება იმავე სააკაშვილმა ასეთი აღსარების შემდეგ საკუთარ ცოდვებს ვერ გაუძლოს და თავს რაღაცა აუტეხოს? მერე სად გავრბივართ? ამერიკა ამოგვიდგება გვერდით თუ ევროპა, ნატოში შეგვიპატიჟებენ მუხლმოყრით თუ ევროკავშირში?ალბათ, ევრაზიის კავშირიც სანატრელი გაგვიხდება!

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში აბა როგორ უნდა მოვიქცეთ? ჩემი აზრით, უფრო სწორად, კოჰაბიტაციის ხათრით,



უმჯობესი იქნება ჩვენებურ ნაცშერეკილებს გონიერებისკენ მოვუხმოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ციხეში არ უნდა გავგზავნოთ, თუნდაც ის ციხე მათი აშენებული იყოს. ქართველ პროფესიონალ შერეკილ-შექანებულებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე იმდენი დამსახურება კი მიუძღვით, რომ საარჩევნო მარცხის შემდეგ მაინც საშერეკილეთში უფასოდ იმკურნალონ.

**ოთარ ხუციშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ტყუილმფრქვევი პრეზიდენტი

# ...რომე მიშამ თავსა ივნოს



## სააკაშვილის ტყუილი და „შეწყვეტილი“ გრანდიოზული პროექტები

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალ მთავრობას იმაში ადანაშაულებს, რომ საქართველოს ათობით ათას მოქალაქეს სამუშაო დააკარგვინა. ამის შესახებ სააკაშვილმა პრეზიდენტის რეზიდენციაში ჟურნალისტებს განუცხადა და მათ სასტუმროს მაკეტი წარუდგინა, რომელიც თბილისის ცენტრში უნდა აშენებულიყო, თუმცა მშენებლობა შეჩერდა.**

**„ვიყავი არაბთა გაერთიანებულ საამიროში, საიდანაც გუშინ ჩამოვედი. იცით, რომ აქ რიყეზე და, საერთოდ, თბილისში შენდება ძალიან ლამაზი შენობები, როცა ვუყურებ იმ ქვეყანას (არაბთა გაერთიანებული საემიროები) როგორ არის აშენებული, ყოველთვის მინდოდა, ისეთივე გრანდიოზული, ლამაზი, განვითარებული ყოფილიყო საქართველო, და ჩვენ ვიყავით მისული იმ ზღვარს, რომლის იქით, ასეთი განვითარება იწყებოდა. ეს სასტუმრო 40-სართულიანი უნდა ყოფილიყო, უნდა აშენებულიყო თბილისის ცენტრში და დაასაქმებდა 20 000 ჩვენს მოქალაქეს. ეს იყო უცხოელი ინვესტორების გასაკეთებელი, თუმცა გუშინწინ საამიროებში მითხრეს, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ ამ სასტუმროს პროექტი შეაჩერა. ე.ი. 20 000 ადამიანი უმუშევარი დატოვეს სრულიად აბსურდული გამოგონილი საბაბით“, — განაცხადა სააკაშვილმა.**

**მისი თქმით, 1 იანვარს ხობის წყალზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს პროექტიც შეჩერდა.**

საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრი (CCII) კი საქართველოს პრეზიდენტს ტყუილის თქმაში ადანაშაულებს. ცენტრის დირექტორის გიორგი სეთურიძის განცხადებით, რუსთაველის გამზირზე 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს შეჩერებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

**„რამდენადაც „დაბი ჯგუფი“, როგორც ინვესტორი, ქვეყანაში სწორედ ჩვენმა ცენტრმა შემოიყვანა და დიდი ხნის განმავლობაში მის საქმიანობასაც წარმართავდა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ პრეზიდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ინვესტორმა ახალი მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკის მიზეზით პროექტის განხორციელება შეაჩერა, სიმართლეს არ შეესაბამება. პროექტის დაფინანსება და განხორციელება 2010 წლის გაზაფხულზე „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი მენეჯერის, სამი ედვარდსის საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან კორუფციული გარიგების მიზეზით შეწყდა. კერძოდ, აღნიშნული სახელისუფლებო კორუფციული ჯგუფი ინვესტორთა დეზინფორმირების გზით ცდილობდა და ცდილობს აღნიშნული პროექტის განხორციელებით სარგებელი მიიღოს და საქმიანობა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით წარმართოს. მათი ქმედებები მიმართულია უშუალოდ ინვესტორისა და ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. განცხადება აღნიშნულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით უკვე შესულია მთავარ პროკურატურაში და მიმდინარეობს ძიება. გასული წლის 7 ოქტომბერს მერიის მიერ დამტკიცებული პროექტის თაობაზე, რომელიც ინვესტორის მიერ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებას ითვალისწინებს, კულტურის სამინისტრომ პროექტის მენეჯერებს მისცა რეკომენდაცია ქალაქის არქიტექტურულ მემკვიდრეობასა და იერსახესთან პროექტის შესაბამისობაში მოყვანაზე“, — აცხადებს სეთურიძე.**

მისი თქმით, „დაბი ჯგუფი“ წარმატებული და საქართველოს მიმართ ლოიალურად განწყობილი კომპანიაა. ამასთანავე, საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრი ირწმუნება, რომ აღნიშნული ჯგუფი საქართველოში საინვესტიციო პროექტების განხორციელებას მომავალშიც განაგრძობს, ხოლო პრეზიდენტის მიერ ასეთი განცხადების მიზანი არის ახალი ხელისუფლების მიმართ პოტენციური ინვესტორების უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რითაც არა რომელიმე მხარე, არამედ მთლიანად ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი ზარალდება.

პრეზიდენტის განცხადებას ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებით ქართველი ხალხის მტერი გახდა და ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას ხელს უშლის. კალაძე აცხადებს, რომ ხობის წყალზე ჰესების მშენებლობა გეგმის მიხედვით ხორციელდება და სააკაშვილი იტყუება.

ქართველი ექსპერტები ამბობენ, რომ ახალ მთავრობას სამშენებლო პროექტების შეჩერებაში ბრალი არ მიუძღვის და ამაში დამნაშავე მხოლოდ წინა ხელისუფლებაა, მიხეილ სააკაშვილი კი ტყუილებით ცდილობს ფონს გასვლას.

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილისგან უცხოელ ინვესტორებთან და ზოგადად სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის შელამაზებულად წარმოდგენა არახალია და არაერთხელ გავმხადვართ იმის მოწმე, რომ პრეზიდენტის მიერ დახატული ვითარება რეალობას არ შეესაბამება. რაც შეეხება ინვესტორების საკითხს, კალანდაძე ამბობს, რომ ძალიან ბევრი კითხვა არსებობდა წინა ხელისუფლების მიერ მოზიდულ ინვესტიციებთან და ამისათვის გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით.

**„სამწუხაროა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია გარკვეულ კორუფციულ სქემებზე მიუთითებს, რაც ასეთი პროექტების არგანხორციელების ან შეჩერების საფუძველი არაერთხელ გამხდარა. არაერთი პროექტის ინიცირების მომსწრენი ვიყავით. მაგალითად, ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, იმელის, რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები უნდა აშენებულიყო. ასეთი საერთაშორისო პროექტები გაურკვეველ ვითარებაში შეწყდა და ის კითხვები, რაც ამ პროექტების შეწყვეტას ახლდა თან, დღესაც პასუხგაუცემელია“,** — აღნიშნავს ექსპერტი.

მისი თქმით, ამგვარი ფაქტები ძალიან ხშირი იყო და არც საზოგადოებას და არც სამართალდამცავ უწყებებს ასეთი ჩაშლილი პროექტების ბედი არ გაურკვევია. ლევან კალანდაძე იმედს გამოთქვამს, რომ ამ პროექტების შეჩერების მიზეზების დადგენა ახლა მაინც დადგინდება, რადგან საუბარია ისეთ პროექტებზე, რომლებსაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეეძლო.

ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ამბობს, რომ ამ სასტუმროების მშენებლობა უკვე რამდენიმე წელია, შეჩერებულია. შესაბამისად, ახალ ხელისუფლებას ამაში ბრალი არ მიუძღვის, რადგან სულ ორი თვეა, რაც იგი ქვეყნის სათავეში მოვიდა. გიორხელიძეც ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და იმელის შენობებზე საუბრობს, რომელთა ნაცვლად სასტუმროები უნდა აშენებულიყო. ასევე აცხადებს, რომ გაჩერებულია „ჰაიატის“ მშენებლობა და ალბათ, ის არც არასდროს აშენდება, რადგანაც არავის დაუდგენია, რამდენად სასარგებლო და საჭირო იყო თბილისში ამდენი სასტუმროს აშენება.

**„რისთვის კეთდებოდა ეს ყველაფერი, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა და დასადგენია, რადგან არანაირი ეკონომიკური პროგნოზი, ქვეყნის გონიერი განვითარება არ იძლევა იმის საჭიროებას, რომ ასეთი ელვისებური სისწრაფით ამდენი სასტუმრო აშენდეს. თბილისში საკმარისად არის პრესტიჟული სასტუმროებიც, საშუალო კლასის სასტუმროებიც და შეიძლება, რომ ერთი-ორი საშუალო კლასის სასტუმრო დაემატოს, დანარჩენი კი სამუშაო ადგილების შესაქმნელად არის საჭირო“,** — აცხადებს გიორხელიძე.

მისი თქმით, სასტუმროების მშენებლობით შექმნილი სამუშაო ადგილები არასტაბილური, დროებითია. სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური აქტივობის და საშუალო ბიზნესის განვითარების შედეგად. აქვე ექსპერტი აღნიშნავს, რომ თუკი ვინმესთან აქვს სააკაშვილს საპრეტენზიო, ეს მხოლოდ თავად სააკაშვილია. ახალი ხელისუფლება კი მისმა არასწორმა პოლიტიკამ მოიყვანა ქვეყნის სათავეში, თორემ ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდს შეეძლო ქვეყანა აღმავლობის გზაზე დაეყენებინა, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, საკუთარ თავში ჩაიკეტნენ და ავნეს როგორც ქვეყანას, ასევე საკუთარ თავსაც.

**რუსიკო უშიკიშვილი**

◉ დამნაშავე ოჯახური კლანი

# დაიჭერენ თუ არა ძველ ახალ წლამდე ძველ ახალაიას

**როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა, სოციალური პირობების მოგვარებასა და ბიზნესში ხელისშეწყობას ჰპირდებოდა, ბიზნესმენმა დავით როგავამ და მისმა მეუღლემ ხათუნა კაკაჩიამ დაიჯერეს პრეზიდენტის ლიტონი სიტყვებისა და 2006 წელს მოსკოვში თავიანთი ბიზნესი გაყიდეს და საკუთარ ქვეყანაში ბიზნესის წარმოების დაწყება გადაწყვიტეს.**

ცოლ-ქმარმა შეიტყო, რომ ზუგდიდის ცენტრში სამსართულიანი უნივერმაღი „ენგური“ იყიდებოდა. საქმის დეტალებში გარკვევა მათ ნდობით აღჭურვილ პიროვნებებს თორნიკე ცხაკაიასა და თამაზ ქანთარიას მიანდეს. იურისტებმა თავის მხრივ გაარკვიეს, რომ ქონება არც დაქირავებული იყო და იპოთეკითაც არ იყო დატვირთული. კაკაჩიამ ქანთარიას მინდობილობა გაუფორმა, თავად „პროკრედიტბანკიდან“ სესხი აიღო და იმჟამინდელი უნივერმაღ „ენგურის“ მეპატრონის გულნარა ლემონჯავასგან შენობა 300 ათას დოლარად შეიძინა.

სრულიად მოულოდნელად, ნაგებობის შეძენიდან, ცოტა ხნის გავლის შემდეგ ზუგდიდის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 186-ე მუხლით. — უკანონოდ მოპოვებული ქონების შესყიდვა, მომხდარის შესახებ აცხადებს ხათუნა კაკაჩიას ადვოკატი მირიან ნიკოლაძე. მეუღლეებმა ბევრი იწვალეს, რომელ უწყებას არ მიმართეს, მაგრამ მათ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. კერძოდ, ზუგდიდის სასამართლოს მოსამართლემ დავით კეკენაძემ წინა მფლობელი გულნარა ჯინჯოლავა სახელმწიფო ქონების უკანონოდ მიმთვისებლად მიიჩნია და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო იურისტები ცხაკაია და ქანთარია თანამზრახველებად სცნო და 5-5 წლით „დაასაჩუქრა“.

როგორც დაზარალებულების ადვოკატი ნიკოლაძე აცხადებს, არც ერთი სასჯელმისჯილი საქართველოში არ იმყოფება და მათზე ძებნაა გამოცხადებული. მისივე განმარტებით, ცოტა ხანში ეკონომიური ამნისტია გამოცხადდა, მაგრამ ეს უნივერმაღ „ენგურს“ არ შეეხო. ასე დარჩნენ ცოლ-ქმარი უკაპიკოდ და პლუს „პროკრედიტბანკის“ გარვეული ვალის პროცენტების გადახდის ვალდებულებით.

საქმე ისე ჩაიფარცხა, რომ მასზე არც საკასაციო და არც უზენაეს სასამართლოებს რეაგირება არ მოუხდენიათ. ავტომატურად დატოვეს ძალაში ზუგდიდის სასამართლოს გადაწყვეტილება. მეუღლეების ადვოკატი ამტკიცებს, რომ ამ საქმით დაინტერესებული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი პროკურორი როლანდ ახალაია. მას მტკიცებულებად ის გარემოებები მოჰყავს, რომ როდესაც საჯარო რეესტრიდან ამჟამინდელ მფლობელზე გამოითხოვეს ცნობა, პასუხად მიიღეს — ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა, რადგან 2011 წლის 6 დეკემბერს მიიღეს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი მინისტრის ბაჩო ახალაიას ბრძანება, რომლის მიხედვითაც საქმეს დაედო გრიფი „საიდუმლო“, ხოლო ობიექტი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

ნიკოლაძეს აქვს უდავო მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ზუგდიდის მაჟორიტარლი დეპუტატობის კანდიდატობის პერიოდში როლანდ ახალაია უნივერმაღის შენობას მისი ე.წ. „ზონდერების“ საწვრთნელად იყენებდა.

დაზარალებული ცოლ-ქმარი პროკურატურას სარჩელით მიმართავს, რათა „ენგურის“ საქმეს მოეხსნას გრიფი — „საიდუმლო“. მეუღლეები უჩივიან როგორც როლანდ ახალაიასა და მოსამართლე დავით კეკენაძეს, ასევე ქ. ზუგდიდის პროკურორს რომეო საჯაიას, რომელმაც ყველა საბუთი გააყალბა — ამტკიცებენ ისინი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ამჟამინდელი საოლქო პროკურორი ვალერიან იოსავა აცხადებს, რომ საჯაია, რომელიც იმ დროს პირადად მუშაობდა „ენგურის“ გახმაურებულ საქმეზე, ამგვარ გადაწყვეტილებას მარტო ვერ მიიღებდა. სავარაუდოდ, მას მითითებებს მაშინდელი საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია აძლევდა.

სად თავდაცვის სამინისტრო, სად უნივერმაღი? — გაოცებული კითხულობენ სპეციალისტები და იქვე დასძენენ, — გამოდის, რომ მამა ახალაიამ ხალხს ქონება წაართვა, შვილმა ახალაიამ კი საქმე დაბლოკა. ეს არის ოჯახის დამნაშავეობრივი კლანის ტიპური მაგალითი. აბა, მაფია სხვა კი არაფერია, — ასკვნიან ექსპერტები.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ინფორმაცია



### ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე ზვავის ხელოვნურად ჩამოშლის სამუშაოები დაიწყეს

**ოსური მედიის ინფორმაციით, ზვავის კერებს საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები სპეციალური დანადგარებით შლიან. ამასთან, სპეცტექნიკა გზის საფარს ჩამოშლილი თოვლისგან წმენდს. როგორც ცნობილია, ტრანსკავკასიური მაგისტრალი ძლიერი თოვლისა და ზვავსაშიშროების გამო ჩაიკეტა.**

**გარდა ამისა, მიმდინარეობს სამუშაოები, ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე, როკის გვირაბთან, ზვავის ჩამოწოლის შედეგად დაზიანებული რუსული სამხედრო ნაწილის ინფრასტუქტურის აღდგენის სამუშაოები.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილისადმი დამოკიდებულებას ხელმოწერებით დაადასტურებენ

**საქართველოში** დაიწყო ხელმოწერების შეგროვება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად. სახელმწიფოს მეთაურის მოწინააღმდეგეებმა მოთხოვნით მისი დაუყოვნებლივი გადადგომის შესახებ, უკვე მოაგროვეს მილიონი ხელმოწერა. ექსპერტების აზრით, სახელმოწერო ომი მიგვიყვანს სერიოზულ შედეგებამდე, თუ მიხეილ სააკაშვილი და პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ვერ შეთანხმდებიან ოქტომბრამდე, როდესაც ქვეყანაში გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები.

ხელმოწერებს მანიფესტის ქვეშ „მიხეილ სააკაშვილი — ჩემი პრეზიდენტია“ აგროვებენ მოძრაობა „პატრიოტების“ წევრები, რომელთა უმრავლესობაც შედის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ერთიანი საქართველოსთვის“ კოალიციაში. „ჩვენ, საქართველოს პატრიოტები ვიწყებთ მოძრაობას მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ 2013 წლის ოქტომბრამდე ის ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტია“, — ნათქვამია მანიფესტში.

ეს აქცია არის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ერთსულოვნების“ კოალიციის პასუხი, მათ უკვე შეაგროვეს მილიონი ხელმოწერა მოთხოვნით პრეზიდენტის დაუყოვნებლივი გადადგომის შესახებ. „ერთსულოვნებამ“ მოაწყო მიტინგი 5 იანვარს პრეზიდენტის სასახლესთან, როდესაც შესრულდა ზუსტად ხუთი წელი სააკაშვილის მეორე ვადით არჩევის დღიდან. აქტივისტებს სურდათ, გადაეცათ მემორანდუმი მოთხოვნით გადადგომის შესახებ სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაციის წარმომადგენლისთვის, მაგრამ რეზიდენციიდან მათთან არავინ გამოსულა. როგორც „ერთსულოვნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, იმერეთის რეგიონის ექს-გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა აგვიხსნა, „ეშმაკური შესწორებების გზით სააკაშვილმა გაიგრძელა უფლებამოსილება მთელი 9 თვით“. „კონსტიტუციის ამ ცვლილებებს ჩვენ უკანონოდ მივიჩნევთ, სააკაშვილი კი აღარ იქნება სახელმწიფოს მეთაური იანვრის შემდეგ, კიდეც რომ არ გადადგეს“, — დაუმატა მან.

ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ მართალია, კომპანია უმნიშვნელოვანია იურიდიული თვალსაზრისით, მას შეუძლია ჰქონდეს სერიოზული შედეგები. „კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ისეთ პროცედურებს — პრეზიდენტის წინააღმდეგ თუ მის მხარდასაჭერად — როგორიცაა ხელმოწერების შეგროვება, — აგვიხსნა დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა იოსებ ცინცაძემ. — ყველაფერი დამოკიდებული იქნება პრემიერ ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს დასავლეთის პოზიციას, რომელიც გამოდის პრეზიდენტის ვადამდელი გადადგომის წინააღმდეგ“.

Коммерсантъ

# დედამიწის მსგავსი პლანეტა შეიძლება მილიარდი იყოს

**ყოველი** მეექვსე შესწავლილი ციური სხეულის ორბიტაზე არის პლანეტები, რომლებიც მოცულობით შეესაბამებიან დედამიწას, იტყობინებიან ასტრონომები. ამრიგად, გალაქტიკაში დედამიწის მსგავსი „ორეული პლანეტების“ საერთო რიცხვმა შეიძლება დაახლოებით 17 მილიარდი შეადგინოს.

გამოკვლევის ავტორები მიუთითებენ შედეგებზე, რომლებიც მიიღეს ირმის ნახტომის ვარსკვლავების ნაწილის შესწავლით კოსმოსური ტელესკოპით „კეპლერი“.

ასტრონომებმა ასევე გვაცნობეს ჩვენი პლანეტის ორეულის 461 ახალი შესაძლო კანდიდატის შესახებ.

თავისი აღმოჩენის შესახებ მეცნიერებმა განაცხადეს კალიფორნიაში ამერიკის ასტრონომიული საზოგადოების 221-ე შეხვედრაზე.

### ტრანზიტული მეთოდი

2009 წელს კოსმოსში ტელესკოპის გაშვების მომენტიდან „კეპლერი“ იკვლევს ცის გარკვეულ ნაწილს, აწარმოებს 150 ათასზე მეტი ვარსკვლავის მონიტორინგს, რომლებიც მისი თვალთახედვის ზონაში იმყოფებიან.

იგი განსაზღვრავს ვარსკვლავების ნათების სიმკვეთრის შემცირებას პლანეტის გავლის დროს დისკის წინ. მაგრამ ეს არ არის ერთობ საიმედო გაზომვა, ვინაიდან შუქი შეიძლება დასუსტდეს მხოლოდ ერთ პროცენტზე ნაკლებად, თანაც ვარსკვლავების ნებისმიერი დროული დაბნელება შეიძლება არ იყოს გამოწვეული მისი პლანეტის მიერ. ფრანსუა ფრესი ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ასტროფიზიკის ცენტრიდან ცდილობს გაერკვეს, თუ დედამიწის რომელი „ორეული პლანეტა“ არ არის პლანეტა, აგრეთვე რომელი ცის სხეულები შეიძლება არ ჩანდეს კოსმოსური ტელესკოპით.



„ჩვენ გვჭირდება, გავზომოთ ორი რამ: პირველი — ეგზოპლანეტების კანდიდატების სია არ არის სრული“. „ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმ პლანეტებს, რომლებიც გაივლიან დედა-ვარსკვლავების წინ და, რომლებიც ისე არიან განლაგებული, რომ ჩვენ შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, მაგრამ თითოეული მათგანისთვის არსებობს ათობით პლანეტა, რომლებიც არ ჩანს“, — ამბობს ასტრონომი.

გამოკვლევის შედეგების თანახმად, ვარსკვლავების დაახლოებით 17 პროცენტს ორბიტაზე აქვთ პლანეტები, რომლებიც დედამიწის მოცულობის 1,25 ნაწილს შეადგენს და რომელთა ბრუნვის პერიოდიც 85 დღე და უფრო ნაკლებია, როგორც მერკური. ეს ნიშნავს, რომ იმ პლანეტების ოდენობა, რომლებიც მოცულობით დედამიწას ჰგავანან, შეიძლება შეადგენდეს სულ ცოტა 17 მილიარდს.

### დედამიწის მსგავსი ასობით პლანეტა

ამ სამეცნიერო მუშაობის შედეგები მნიშვნელოვნად განამტკიცა მონაცემებმა, რომლებიც მიიღეს კრისტოფერ ბიორკის გამოკვლევების დროს კალიფორნიის ინსტიტუტ „სეტიდან“.

ბიორკმა გვაცნობა ახლადაღმოჩენილი დედამიწის „ორეულის“ 460 ახალი შესაძლო კანდიდატის შესახებ, რომელთა უმრავლესობაც ახლოა მოცულობასთან ან ოდნავ მასზე დიდია. სწორედ ამ პლანეტების აღმოჩენა იყო ადრე განსაკუთრებით ძნელი.

„განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ოთხი ახალი პლანეტა, რომელთა მოცულობაც თითქმის ორჯერ მეტია დედამიწისაზე, ისინი პოტენციურად იმყოფებიან იმ ვარსკვლავების ზონის მახლობლად, რომლებზეც შეიძლება აღმოჩნდეს წყალი თხევად მდგომარეობაში, რაც აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად“, — აუხსნა ბიორკმა ბი-ბი-სის.

მისია „კეპლერის“ წამყვანი მკვლევარი უილიამ ბორუკი ამბობს, რომ კმაყოფილია გამოკვლევათა შედეგებით.

„ყველაზე მნიშვნელოვანი — ეს სტატისტიკაა: აღმოვაჩინოთ არა ერთი დედამიწა, არამედ ასობით. ამას ჩვენ მივაღწევთ იმის შესაბამისად, თუ „კეპლერის“ მისია გაგრძელდება, ვინაიდან მისი დანიშნულებაა დედამიწის მსგავსი პლანეტების უმრავლესობის აღმოჩენა“, — დაასკვნის იგი.

BBC RUSSIAN.com

# პენჯაბელმა ფერმერებმა საქართველოში ახალ იაფ საძოვრებს მიაგნეს

**პუბლიკაცია ერთ-ერთი ინდოელი ფერმერის, ტაჯინდერ სინგჰის ისტორიას ასახავს.**

**როგორც ავტორი აღნიშნავს, „კეთილსულოვანი კავკასიის მიწების დამუშავებას“ ინდოელებს მიწის მაღალი გადასახადები აიძულებს.**

სტატიის თანახმად, საქართველოში ათასობით ჰექტარი ნოყიერი მიწის არსებობის შესახებ 38 წლის სინგჰიმ დიუსელდორფში მზარეულად მუშაობისას შეიტყო.

**„კონტრასტი საქართველოსა და მისი მშობლიური პენჯაბის მოსახლეობასა და მიწის მაღალ გადასახადებს შორის გასაოცარი იყო. ასე რომ, ორი თვის წინათ, ის და მისი ორი მეგობარი ამსტერდამიდან თბილისში გაფრინდნენ — 50 ჰექტარი მიწის იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად. უკან დაბრუნებულმა სინგჰმა განაცხადა, რომ ბედნიერი იყო, იმის მიუხედავად, რომ ჯერ ოდნავაც ვერ გარკვეულიყო თავისი ახალი ადგილსამყოფელის გეოგრაფიაში“,** — წერს სტატიის ავტორი.

როგორც ინდოელი ფერმერი ყვება, ერთ ჰექტარ მიწაში, რომელიც 99-წლიანი იჯარით აქვს აღებული, 950 დოლარს იხდის.

The Guardian-ის ცნობით, სინგჰი ერთადერთი არ არის, ვინც პენჯაბიდან საქართველოში გადაბარგდა.




როგორც გამოცემა აღნიშნავს, ასეთი ფერმერების რიცხვი სულ უფრო იზრდება. ინდოეთის მთავარ ქალაქებში, როგორიცაა, მაგალითად, ჯალანდარი, აგენტები საქართველოს მიწებისა და იქ ბიზნესის წარმოების რეკლამირებას ეწევიან.

მაღალჩინოსანი სოდჰი, რომელიც ამრისტარში ვიზებს გასცემს, ამბობს, რომ პენჯაბელები ძალიან რისკიანები არიან. მისივე ინფორმაციით, პენჯაბელი ფერმერები წარსულში ათასობით ჰექტარ მიწას უკრაინაში, უზბეკეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში ყიდულობდნენ ან ქირაობდნენ. საზღვარგარეთ ნაშოვნ ფულს ფერმერები ხშირად ისევ სახლში, მიწების შესაძენად აგზავნიან.

გამოცემის ცნობით, ინდოეთში მოღვაწე ქართველები კი აცხადებენ, რომ საქართველოში ახალჩასულები, შესაძლოა, იმედგაცრუებული დარჩნენ.

**„ჩვენ მათ წასვლისკენ არ ვუბიძგებთ. ისინი საკუთარი სურვილით მიდიან. საქართველოში მიწებს კერძო პირები ყიდიან. ამისთვის ქვეყანას რაიმე სპეციალური პროგრამა არა აქვს“,** — აცხადებს ერთ-ერთი ქართველი ჩინოსანი, რომლის ვინაობასაც გამოცემა არ აკონკრეტებს.

როგორც The Guardian-ი წერს, საქართველოში, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მიწის პირდაპირ დასაკუთრება კანონით დაუშვებელია.

Guardian

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-ში ჩამოვარდა საჰაერო ბურთი, რომელშიც იყვნენ შეყვარებულები და რომლებმაც გადაწყვიტეს დაქორწინებულიყვნენ ცაში**

**ახალდაქორწინებულთა საქორწილო ფიციდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ბურთმა დაიწყო სიმაღლის დაკარგვა და ბოლოს მიწაზე დაეცა. წყვილის მეგობარმა, რომელიც ახალდაქორწინებულებთან ერთად იმყოფებოდა ბურთის კალათაში, გადაიღო ავარია ქსელური ტელეფონის კამერით. სულ არაჩვეულებრივ ქორწილს ესწრებოდა 11 კაცი საცოლისა და საქმროს გარდა.**

* * *

**შვეიცარიის ბანკებმა გაყინეს რუსეთელების ანგარიშები მაგნიტსკის საქმიდან, იტყობინება ადგილობრივი პრესა**



**ადრე ევროპარლამენტში გადაკვრით ამბობდნენ, რომ ევროპის საბანკო სისტემას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამერიკულთან, არ შეუძლია ყურადმღებლობა არ გამოიჩინოს „მაგნიტსკის აქტზე“. ახლა კი, „ანტიმაგნიტსკის პასუხის“ ძალაში შესვლის შემდეგ, გაჩნდა ცნობები ანგარიშების დაბლოკვის შესახებ.**

* * *

**იტალიაში საოჯახო დღესასწაულზე ისე შეაშინეს ხუთი წლის გოგონა ჯადოქრით, რომ ბავშვი გარდაიცვალა**



**ტრაგედია მოხდა 6 იანვარს სიცილიის ქალაქ ვიტორიაში, ესე იგი შობის კათოლიკურ დღესასწაულზე, როდესაც იტალიაში ბავშვებს ჩუქნიან საჩუქრებსა და ტკბილეულობას. ბავშვი გულის შეტევით გარდაიცვალა, როდესაც თავისი ერთ-ერთი ნათესავი დაინახა გადაცმული ცნობილი ჯადოქრის ტანსაცმელში.**

* * *

**გერმანიაში მარტო დარჩენილმა თუთიყუშმა პოლიცია გამოიძახა**

**ქალაქ იბენბიურენის მცხოვრებმა ქალმა დარეკა განყოფილებაში, იგი ირწმებოდა, რომ მეზობელი ბინიდან ისმის ბავშვების ხმები: „დედა! მამა! დედა, მოდი!“. წესრიგის დამცველები დაუყოვნებლივ გაეშურნენ მომხდარის ადგილზე. როდესაც კარზე დარეკეს, იგი არავინ არ გააღო. მაგრამ პოლიციელებმა ასევე გარკვევით გაიგონეს „ხმები დახმარების შესახებ“.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სიტყვის ალქიმიკოსი

1996 წლის გაზაფხული იდგა, უნივერსიტეტისა და „სტუდქალაქის" მეგობრები ასე „ოფიციალურად" პირველად ვხვდებოდით. ჩემი ჯემალი, „ჩემი ქართველი ებრაელი ძმა" ჯემალ აჯიაშვილი უკვე ცნობილი პოეტი და მთარგმნელი იყო, საქართველოს პარლამენტის წევრი, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის კათედრის გამგე, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაერთიანების წევრი, ღირსების ორდენის კავალერი...

ვისხედით და ვიგონებდით განვლილ გზას, როგორ გამაცნო იგი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ნომადი ბართაიამ, დღეს უკვე ცნობილმა პოეტმა, როგორ ვხვდებოდით მერე ერთმანეთს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე, ხანაც „სტუდქალაქში"...

რახან „საკბილო" ჩავიგდე, რა გასაკვირია, ძველ მეგობარს შემოქმედებით საქმიანობაზეც ვკითხე ერთი-ორი სიტყვით...

ჰაი, ჰაი, რომ იმ საუბრის გახსენება, დღეს შენი ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლის გამო მიწევს, ძმაო ჯემალ!

**— შენ და ნომადი თავიდანვე „გაქანებული სპარსელები" იყავით, უკვე თარგმნიდით** — ესეც ვუთხარი მაშინ სასურველ სტუმარს, რომელიც რაღაც საქმეზე ჩვენი გაზეთის რედაქტორთან ყოფილიყო და მეც შემომიარა.

— სპარსულის სწავლა სკოლიდანვე მინდოდა, ხომ გახსოვს თეიმურაზი: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი". ჰოდა, უკვე ვტრიალებ რა ხანია ომარ ხაიამისა და ფირდოუსის სამყაროში...

**— ჰო, ბატონო... გარდა ამისა, „ტრიალებ" ბიბლიის, შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების, შექსპირის, ჩიკამაცუს, პეტრარკას, გოეთეს, რილკეს, ნელი ზაქსის, პასტერნაკის, მაიაკოვსკის, ესენინის (ხომ არავინ გამომრჩა?) პოეტურ სამყაროში... გამაგებინე, თუ ძმა ხარ, რამდენი ენა იცი?**

— (გაიღიმა მორიდებით) არ გინდა, გთხოვ...

**— რას მთხოვ, კაცო!.. ფაქტია და!..**

— ორი-სამი უცხო ენა თუ იცი, მერე ადვილია... საერთოდ, ალბათ, გენეტიკური კოდიც ამბობს თავის სათქმელს... მე მგონი, უფრო „პოლიგლოტი ქვეყანა" არ არსებობს, ვიდრე ისრაელია... გავოცდი, პირველად რომ ჩავედი, ორი-სამი უცხო ენა ყველამ იცის... ესეც, ეტყობა, ებრაელთა ბედმა განაპირობა, სხვადასხვა ქვეყანაში მათმა გამუდმებულმა მიგრაციამ გამოიწვია.

**— ქართულს როგორღა დაეუფლე ასე ოსტატურად?.. შენი ნაჩუქარი, შენგან თარგმნილი „შუასაუკუნეების ებრაული პოეზიის" თარგმანთა კრებული ხელში შემომაცვდა და, რომ იტყვიან, ვერ ვძღები მისი კითხვით.**

**„გახსოვს? — მღეროდა შენი ვარდეთი,**
**მთების გადაღმა ფშვენდა მინდორი**
**და საღამოულ სილაჟვარდეში,**
**კრთოდა ვარდი და იაკინთონი.**
**გაღმა მზე ენთო, — შუქთა მკმეველი,**
**შორს, ნისლოვანში, თვლემდა ტყე-ველი**
**და მიღმიეთის სამიჯნოსაკენ**
**ყრუდ მიმაქცევდა მიმაქცეველი...**
**როგორ ვგალობდი, როგორ ვხარობდი,**
**შენი მინდვრით და შენი წყაროთი**
**და სიყვარულის საზაღნარომდი**
**რა სასოებით მივეჩქაროდი...**

**— ეს, მართლაც სასწაულია, ძმაო!..**

**ცნობილი ენათმეცნიერის, პროფესორ კორნელი დანელიას ერთ-ერთი ძველი ნაუბარი:** „ჯემალ აჯიაშვილის ლაღი დამოკიდებულება ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობებისადმი კარგად ჩანს სახლთა გაზმნავების აქტივიზაციაში. „ვეფხისტყაოსნის" შემდეგ ძნელია დავასახელოთ ნაწარმოები, რომელშიც ასე უხვად იყოს წარმოდგენილი დიდოსტატურად ნაწარმოები ოკაზიური (შემთხვევითი) გაზმნავებული სიტყვები, როგორც ეს „შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის" თარგმანშია (ნუ შეგვაცბუნებს ასეთი პარალელის გავლება). მოგვიტევოს მთარგმნელმა (და მკითხველმაც), რომ რამდენიმე ნიმუშის დასახელება გვიხდება შეკვეცილი კონტექსტით, რის გამოც გაზმნავებული სიტყვების, ემოციურობისა და ექსპრესიულობის აღქმა გაძნელებულია: „და ბორროტებას **ვესასთუმლები;** და სათვისტომოს ვევარგისები; და სასოების საკურთხეველზე **გესანთლება** და გესაკმევლება; მიჰქრის ნათლის ფრთე, **მიიფრთოსნება,** ხმას ზესკნელისკნელ მიაფრთამალებს; ზვარს მეუფისას შეემტევნები; და შემოდგომის ფერისცვალება ველებს მორთავს და **მოავენახებს** და ა.შ."

— ქართული ლექსის ვერსიფიკაციული სიახლეების ძიებისას, — **მიამბობს ჯემალი,** — ჩემთვის მთავარი იყო გამეაზრებინა გზა უძველესი ქართული მწერლობიდან დღევანდლამდე, ბიბლიის ქართული თარგმანიდან, ჩვენი ჰიმნოგრაფიის უმდიდრესი ტრადიციებიდან, „ვისრამიანის", რუსთაველის, გურამიშვილის და სხვების პოეტური სიმაღლეებიდან დაწყებული, ვიდრე თანამედროვე ქართული სალექსო კულტურის მიღწევებამდე.

ოჯახში დიდ პატივს სცემდნენ სწავლაგანათლებას, მამაჩემის ბიძა — აბრამ აჯიაშვილი ექსპრომტად წარმოთქვამდა ლექსებს ქართულად, მეგრულად და რუსულად... მთელი „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცოდა... მახსოვს, გვიანი შემოდგომის ერთ ოთხშაბათს, „ლეძაძამობა დღეს" (ხობსა და ლეძაძამეში სწორედ ოთხშაბათობით იმართებოდა დიდი ბაზრობა), შინ მობრუნებულმა მამაჩემმა უბიდან დიდი ლურჯყდიანი წიგნი ამოიღო და მე და ჩემს დას, სიცივისგან მობუზულები კუთხეში რომ ვიყავით შეყუჟულები რაღაცა უჩვეულო სიხარულით გამოგვიწოდა. ეს იყო 1951 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი", ირაკლი თოიძის ილუსტრაციებით (მაშინ 7 წლის თუ ვიქნებოდი). სკოლის დამთავრების შემდეგ, როცა ჩემმა მშობლებმა თბილისში გამომისტუმრეს და „გამომამზითვეს", ეს წიგნიც თან წამოვიღე და დღესაც მაქვს შენახული, როგორც ჩემი ბავშვობის რელიკვია...

**— ჯემალ, ხომ არ მეტყვი, მაინც რომელი მწერლის თარგმნა უფრო გაგიძნელდა?**

— შექსპირის... ოღონდ კონკრეტულად ის თარგმანი, რომელზედაც მე ვმუშაობდი. აქ უმთავრესად ლაპარაკია ორიგინალის ერთობ თავისებურ ფორმალურ-ვერსიფიკაციულ სტრუქტურაზე, რომლის ანალოგი, ქართული ლექსის თავისებურებათა გამო, ჩვენს პოეზიაში არ გვხვდება.

**აი, რას ამბობს ჯემალ აჯიაშვილის ამ თარგმანზე ცნობილი შექსპიროლოგი, აწ განსვენებული მეცნიერი და მწერალი ნიკო ყიასაშვილი:**

— შექსპირის პოემები და ლექსები დღემდე არ ყოფილა თარგმნილი ქართულ ენაზე (გარდა სონეტებისა, რომლის ორი თარგმანი გვაქვს — გივი გაჩეჩილაძისა და რეზო თაბუკაშვილის). შექსპირის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემამ ბუნებრივად დააჩქარა ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსება. მეხუთე ტომისთვის პოემა „ლუკრეციას" თარგმანი ვთხოვე ბატონ ჯემალ აჯიაშვილს, რადგანაც მიმაჩნდა, რომ ამ ბრწყინვალე მთარგმნელს ადრე თუ გვიან თავისი ხელი უნად დაემჩნია შექსპირიანასთვის... მისი თარგმნილი შექსპირი ნამდვილი შექსპირია, მხოლოდ აჯიაშვილის (შექსპირის ასეთი და ამ რანგის რუსი მთარგმნელია, სხვათა შორის, პასტერნაკი). მთარგმნელი ღრმად ჩასწვდა შექსპირის ენობრივ და სტილისტურ შრეებს, რის შედეგადაც მივიღეთ დედნისეული და ბუნებრივი ქართული ლექსი...

**— საინტერესოა, სკოლაში ვინ გასწავლიდა ქართულს?**

— განუზომელია ამ მხრივ დალოცვილი კოლხური გარემოს ზეგავლენა და სენაკში ჩემი სკოლის მასწავლებლის ტერენტი ყიფიანის ღვაწლი... იგი ძველი კაცი იყო, გერმანიაში ნაცხოვრები, გრიგოლ რობაქიძესთან წილნაყარი... ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა ამ პიროვნებამ...

**— მე ვიცი, რომ სენაკში შენ და ჟიული შარტავა ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობდით, ძმაკაცები იყავით...**

— მაშ... ეგრე იყო... იცი რა, ერთს გეტყვი და დავამთავროთ, მეჩქარება, უნდა გავიქცე... ჟიულისნაირი გმირების მშობელი ქვეყანა შეუძლებელია, რომ დამარცხებული იყოს...

— ღმერთმა გისმინოს!..

* * *

ამ საუბარში ოდნავ ხომ მაინც გამოჩნდა, ძვირფასო მკითხველო, თუ რა პიროვნება წავიდა ამ ქვეყნიდან? თუ რა შემოქმედი დაკარგა ორმა ერმა — ებრაელმა და ქართველმა? განუზომელია ჯემალ აჯიაშვილის ღვაწლი ამ ერების სიტყვის, საქმის კიდევ უფრო დაახლოებისთვის.

* * *

ნაღვლიანია გურამ გოგიაშვილი — ჩვენი ცნობილი მთარგმნელი, ლიტერატორი და ქართული ენის სიღრმეებში „ჩამწვარი" კაცი:

**მგონი, თვალი მიმიწვდება ქართული კულტურის ისტორიაზე და, ალბათ, სრული სიმართლეა, რომ ჯემალ აჯიაშვილზე უფრო დიდი იუდეველი ქართველი ჯერ არც დაბადებულა და, ბუნებრივია, ვერც მოკვდებოდა. ამ თვალსაზრისით, ჯემალის სიკვდილი ერთ-ერთი უდიდესად თავზარდამცემი სიკვდილია ჩვენს ქართულ სინამდვილეში. მით უმეტეს, რომ მან, სიკვდილმა აშკარად ნაადრევად მოიქნია თავისი მსახვრალი ცელი.**

**როცა ეს საშინელი ამბავი ჩემს ყურამდეც მოვიდა. ერთხელ კიდევ წამომაგონდა მინჩხის ის იდუმალი ნააზრევი, რომ ყოველივე საიდუმლო დამარხულ არს ქართულ ენასა შინა. წამოგონებით კი, ალბათ, იმიტომაც წამომაგონდა, რომ ჩემს ცნობიერებაში ყოველთვის სწორედ ჯემალ აჯიაშვილი იყო „ქართულ ენასა შინა დამარხული ამ ყოველივე საიდუმლო" მადნის მპოვნელი და ჩვენი კულტურის მზის შუქზე გამომტანი.**

**ქართულ სიტყვას ყველა დროის თითოოროლა დიდოსტატი ალქიმიკოსის ხელში თუ უნავარდია და უნებივრია აგრერიგად.**

* * *

იმდღევანდელ საუბარში ჯემალმა ჩვეული მოკრძალებით გამიმხილა, რომ სკოლის ასაკში უკვე წერდა ლექსებს, ახლაც ჰქონდა „რაღაც-რაღაცები", ოღონდ ჯერჯერობით, არ ბეჭდავდა.

ჰოდა, ამ ორი წლის წინათ რომ დაბეჭდა, მართლა დაბეჭდა, „ლიტერატურული საქართველო" ხელიდან ხელში გადადიოდა მისი უბრწყინვალესი სონეტების გამო.

დაბეჭდა შარშანაც, კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა თავისი ნიჭი და სიმაღლე... და რამდენი ჰქონდა გასაკეთებელი?! რას ვიზამთ, „არვის ძალუძს ხორციელსა, განგებისა გარდავლენა!"

ნათელში იყავ, ძმაო, ჯემალ!

**ვილენ მარდალეიშვილი**




საქართველოს ისრაელის საელჩოში ჯემალ აჯიაშვილის გარდაცვალების გამო სამძიმრის წიგნში მწუხარება გამოხატა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.



*საოცრად გულდასაწყვეტი ამბავი გავიგე: აღსრულებულა ჩვენი საამაყო ძმა და მეგობარი ჯემალ აჯიაშვილი. ეს ლექსი ცოცხალს ვერ წავუკითხე და ახლა მარადისობაში ვუგზავნი მას.*

## სუჯუნის სინაგოგა

ჯემალ აჯიაშვილს

სუჯუნის ცენტრში სინაგოგა ვნახე ვერანი,
უკარ-უფანჯრო, დაბზარული, ქუფრი შენობა,
რომელსაც აკლდა მველი სიბლი, ზირთამშვენობა,
მომლოცველების ჩურჩული და გულის მგერანი.

მე აქ მოვედი, მოვიტანე ბაბი-იარის
მარადი სევდა, სიკვდილშიაც განუქარველი.
(ვინ უწყს, რად სდუმდა ებრაელთა ღმერთი მფარველი,
როცა მათ მკერდზე ურდოებმა გადაიარეს!)

მე აქ მოვედი და საფლავი ვნახე მრავალი,
რომლებსაც უკვე, რახანია, არ აკითხავენ.
(ქვები, ცხადია, მგზავრს შემთხვევით არ აკითხავენ:
„რად განგვერიდა აბრაამის შთამომავალი?").

წასულა ყველა... და სორექას უმათოდ კრეფენ,
მშობლის მახილი: „იციკ... იცკა... ხანა... ხანუკა!.." —
აღარ გაისმის... არ შემოდის სახლში ხანუკა
და წმინდა სანთლებს არ აანთებს მიმწუხრზე რებე.

ცრის ოქტომბერი... ცივი წვიმა თანაბრად აცრის
ქართულ საყდარს და მიტოვებულ სალოცავს მმათა,
რომელსაც უვლის ქრუანტელად გოდება ათასწლეულთა წინათ სოლომონის დანგრეულ ტაძრის.

**რაულ ჩილაჩავა.**
21 ნოემბერი, 2010



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჭიდაობა

# აურზაური მწვრთნელების გამო

**ფალავანთა კლუბის კარი კარგა ხანს იყო ჩაკეტილი ჟურნალისტებისთვის, რადგან საკონფერენციო დარბაზი სპორტსმენებითა და ვეტერანი მოჭიდავეებით იყო სავსე. ფართო აუდიტორიის წინაშე წყდებოდა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მწვრთნელთა საკითხი.** „დადგა დრო, ცვლილებები მოჭიდავეთა სამწვრთნელო შტაბშიც განხორციელდეს. 20-წლიანი მუშაობის შემდეგ ნაკრების მესვეურები იმ ხალხმა უნდა შეცვალოს, რომლებსაც ქართული საჭიდაო სკოლის განვითარება და წინსვლა წარმატებულად შეუძლიათ“, — განაცხადა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა, ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ. ფედერაციის მესვეურის ამგვარმა განცხადებამ დიდი ვნებათაღელვა და გაწევ-გამოწევა გამოიწვია. სასწრაფო დახმარების ჯგუფიც კი გამოიძახეს. ნახევარ საათში ყველაფერი მიწყნარდა და კურტანიძემაც ჟურნალისტებს ახალი მწვრთნელები წარუდგინა. ეროვნულ ნაკრებს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი უთავკაცებს. მას ორგზის ევროპის ჩემპიონი დავით პოლოსიანი და ალექსანდრე კახნიაშვილი დაეხმარებიან. ახალგაზრდულ ნაკრებს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადების ორგზის მესამეადგილოსანი გიორგი გოგშელიძე ჩაუდგება სათავეში, ასისტენტებად მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ოთარ თუშიშვილი და დავით ოთიაშვილი ეყოლება. ჭაბუკთა ნაკრებთან საბერძნეთიდან დაბრუნებული ევროპის ჩემპიონი ემზარ ბედინეიშვილი იმუშავებს ევროპის ვიცე-ჩემპიონ გელა სალირაშვილთან და გიორგი იანტბელიძესთან ერთად. „ახალი თაობა მზად არის დიდი გამარჯვებებისთვის ბრძოლაში ამჯერად მწვრთნელის რანგში ჩაერთოს“, — აღნიშნა კურტანიძემ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მწვრთნელები ჯერჯერობით მოვალეობის შემსრულებლები არიან. მათი უფლებამოსილება 11 იანვარს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმმა უნდა დაამტკიცოს. თუ ჩემს წინადადებას მხარს არ დაუჭერენ, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას მივიღებ და სრულ პასუხისმგებლობას თავად ვიკისრებ“, — განაცხადა კურტანიძემ: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში ჭიდაობა სწორი გზით განვითარდეს და ქართველმა გულშემატკივარმა ამ სახეობაში მიღწეული წარმატებებით იამაყოს“.





ფედერაციის თავკაცის ასეთ გადაწყვეტილებას ნაკრები გუნდების მწვრთნელები — ზაზა თურმანიძე და ნუგზარ სხირელი არ ეთანხმებიან და ამ ცვლილებებს არაობიექტურად მიიჩნევენ. „უამრავი სახელოვანი ფალავანი გავზარდე, ერთი პატარა ჩავარდნაც არ მქონია. რატომ უნდა დავტოვო ახალგაზრდული ნაკრები?“ — ამბობს ნუგზარ სხირელი. არავინ იცის, რა მოხდება ხვალ ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე. ერთი კი ამთავითვე ცხადია, რომ ეს თავყრილობაც ხმაურიანი, შესაძლოა, ზედმეტად ხმაურიანიც კი გამოდგეს. მით უმეტეს, რომ ფედერაციის პრეზიდენტი „კლასიკოსთა“ ნაკრები გუნდების მწვრთნელთა საკითხის წამოწევასაც აპირებს. ცვლილებები იქაც აუცილებელიაო, ამბობს.

არადა, დრო არ ითმენს, ნაკრებ გუნდებს მზადება ჯერ არ დაუწყიათ, მაშინ, როცა 19 მარტიდან თბილისში ევროპის ჩემპიონატი დაიწყება...

**ლექსო ცინცაძე**

დაფასება

# მურთაზ ხურცილავას „სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭა

**ახლახან ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს მურთაზ ხურცილავას 70 წელი შეუსრულდა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის ბრძანებით მურთაზ ხურცილავას საქართველოს „სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭა.**

მურთაზ ხურცილავა წლების მანძილზე კაპიტნობდა თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებს. სსრკ-ის პირველ გუნდთან ერთად მან მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა, 1972 წელს ევროპის ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, იმავე წელს კი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.



2003 წლის ნოემბერში, უეფას ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მურთაზ ხურცილავა „ოქროს ფეხბურთელად“ დაასახელა.

რაგბი

# გორგოძემ დერბიში იკაპიტნა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მესამეხაზელმა მამუკა გორგოძემ საფრანგეთის ელიტურ დივიზიონ TOP 14-ის XV ტურში „მონპელიეს“ 52 წუთი უკაპიტნა. ამ დროს მოედანზე გუნდის კაპიტანი ფულჟანს უდრაოგო გამოჩნდა და ქართველმა გოლიათმაც მას დიდსულოვნად გადაულოცა სამკლავური.**

ბოლო დროს 2011 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს კაპიტნობას სულ უფრო ხშირად და ხშირად ანდობენ და მამუკაც საქმეს უნარიანად უძღვება. მიუხედავად მეტოქეთა მცდელობისა, ის პასუხისმგებლობას გრძნობს და ჩხუბში არათუ თვითონაც არ ერევა, თანაგუნდელებსაც ამშვიდებს. განვლილ მატჩში, როდესაც მოედანზე უდრაოგო გამოვიდა, რეფერიმ გორგოძეს რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ მან ყველა ჯერზე უცვლელ კაპიტანზე მიუთითა და ეს მის დამსახურებას უფრო მეტად ზრდის.

ტურის ცენტრალურ მატჩში გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიე“ 2010 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენ დავით ზირაქაშვილისა და ვიტო კოლელიშვილის „კლერმონს“ ეწვია და 17651 მაყურებლის წინაშე ლამაზ ბრძოლაში 18:36 დამარცხდა. გორგოძემ შეუცვლელად ითამაშა, ნარიაშვილი შეცვლაზე 56-ე წუთზე შევიდა, ხოლო ჟღენტს მხრის ტრავმა აწუხებს და განაცხადში არ იყო. განაცხადში არ იყო კოლელიშვილიც, ხოლო ზირაქაშვილმა პირველიდან 66-ე წუთამდე იბურთავა და გორგოძისა არ იყოს, მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

სტუმრები ლელო-გარდასახვით მატჩის დებიუტშივე დაწინაურდნენ, მაგრამ მე-12 წუთზე ლელო-გარდასახვა თავადაც მიიღეს. მერე გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს, 27-ე წუთზე კი, ლელო-გარდასახვით უკვე მასპინძლები დაწინაურდნენ. „მონპელიეს“ ჯარიმას „კლერმონმა“ 35-ე წუთზე ჯარიმითვე უპასუხა, მაგრამ ტაიმის ბოლოს მოედანზე 10 წუთით კაცნაკლული დარჩა, თუმცა, სტუმრებმა ჯარიმით სხვაობის შემცირების შანსი ხელიდან გაუშვეს.

მეორე ნახევრის დასაწყისში „მონპელიემ“ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება სცადა და ლელომდე სულ ცოტა დააკლდა. ჩათვლის მოედნიდან 7-8 მეტრში რაქიდან ბურთი გორგოძემ ჩვეულად აიტაცა და წინ წაიწია, იერიში მისმა თანაგუნდელმა გააგრძელა, მაგრამ დამიწებამდე ბურთი წინ დაუვარდა. ამის შემდეგ „“კლერმონმა“ ჯერ სამი ჯარიმა გაიტანა, ხოლო 70-ე წუთზე საჯარიმო ლელო მიითვალა და გარდასახვაც გამოიყენა. „მონპელიემ“ საპასუხო ლელო მალევე მიითვალა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 18:36, მაგრამ ამით სატურნირო ქულებს ვერაფერი შემატა.



„მონპელიეს“ 41 ქულა დარჩა და მე-6 ადგილამდე დაქვეითდა, რადგან „გრენობლმა“ გამარჯვება მოიპოვა, ხოლო „კლერმონმა“ 53 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილი შეინარჩუნა და ლიდერ „ტულონთან“ ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა.

ეს იმიტომ, რომ დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კოტე მიქაუტაძის „ტულონი“ საკუთარ მოედანზე „რასინგ მეტროსთან“ მოულოდნელად დამარცხდა. მასპინძელთა ხუთ ჯარიმას სტუმრებმა სამი ჯარიმით, ერთი არეკნით, ლელოთი და გარდასახვით უპასუხეს - 15:19, არადა, პირველი ტაიმი „ტულონმა“ 9:6 მოიგო, მაგრამ მეორე ნახევრის დებიუტშივე ლელო მიიღო და ამის შემდეგ დაწინაურება ვეღარ მოახერხა. ქუბრიაშვილი თამაშში 64-ე წუთზე ჩაერთო, მისმა გუნდმა კი, მხოლოდ ერთი პრემიალური ქულა ჩაიწერა და ჯამში 57 გაუხდა.

ზემოთ ნახსენებმა „გრენობლმა“ ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრი“ 14:12 დაამარცხა და ისიც მხოლოდ ერთი ქულის ამარა დატოვა. ქართველი პირველხაზელი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 52 წუთი ითამაშა. მასპინძელთა მიერ პირველივე წუთზე გატანილ ლელოს სტუმრებმა ლელოთივე მე-10-ზე უპასუხეს, მაგრამ ორივე გარდასახვა არაზუსტი იყო. ტაიმის ბოლომდე „გრენობლმა“ ორი ჯარიმა გაიტანა, მეორის დასაწყისში არეკნი და 14:5 დაწინაურდა. სტუმრებმა ლელოგარდასახვით ჩამორჩენა 2 ქულამდე 70-ე წუთზე დაიყვანეს, მაგრამ მატჩის შემობრუნება ვეღარ შეძლეს და ახლა მე-4 ადგილს 44 ქულით ინარჩუნებენ.

აუტსაიდერ „მონ დე მარსანთან“ მძიმე ბრძოლაში იმარჯვა ქვეყნის ჩემპიონმა „ტულუზამ“. მასპინძელთა განაცხადში არ იყო შუამარბი თამაზ მჭედლიძე, სტუმართა 23-კაციან სიაში არ იყო ჯაბა ბრეგვაძე, რომელიც ტრავმის შემდეგ ჯერაც არაა ფორმაში, ხოლო ვასილ კაკოვინი შეცვლაზე 58-ე წუთზე შევიდა. პირველ ტაიმში მიღებულ ორ ჯარიმას „ტულუზამ“ ლელოთი, გარდასახვით და ჯარიმით უპასუხა, მეორე ნახევარში კიდევ ორი ჯარიმა გაიტანა, მაგრამ 71-ე და 74-ე წუთებზე თავადაც ორი ჯარიმა გაუშვა და დასკვნით წუთებზე ნერვიულობა მოუწია. მიუხედავად ამისა, ანგარიში აღარ შეცვლილა და „ტულუზამ“ 16:12 იმარჯვა, 50 ქულა დააგროვა და მე-3 ადგილზე აინაცვლა, ხოლო პრემიალური ქულის ამღები „მონ დე მარსანი“ 8 ქულით კვლავაც ბოლო საფეხურზეა.

ზურაბ ჟვანიას „სტად ფრანსემ“ „ბაიონი“ ქართველი ლეგიონერის გარეშე 21:13 დაამარცხა და 32 ქულით მე-10 ადგილზეა. ზაზა ნავროზაშვილის „ბორდო“, ასევე ქართველის გარეშე სტუმრად დამარცხდა „პერპინიანთან“ (16:26) და 18 ქულით „აჟენთან“ მე-12-მე-13 ადგილებს იყოფს. TOP 14-ის თამაშები 25 იანვარს განახლდება, მანამდე კი ქართველ ლეგიონერთა გუნდებს ევროთასების ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ორი ტური ელით.

**მანუჩარ გიორგაძე**

წყალბურთი

# პირველ შესარჩევს თბილისი უმასპინძლებს

**უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი 2014 წლის 13-26 ივლისს წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა უკვე განაღდებული აქვთ წინა შეჯიბრების პრიზიორებს — სერბეთს, ჩერნოგორიას და უნგრეთს, ასევე იტალიას, გერმანიას და საბერძნეთს.** შესარჩევი ტურნირებისგან თავისუფალი არიან და პლეი ოფებიდან ჩაერთვებიან ბუდაპეშტის საგზურებისთვის პაექრობაში ხორვატეთი, ესპანეთი, რუმინეთი, ჰოლანდია, მაკედონია და თურქეთი. 17 ქვეყნის წარმომადგენლები კი შესარჩევიდან დაიწყებენ ორთაბრძოლებს. მათ შორისაა საქართველოს ნაკრები, რომელიც A ჯგუფში სლოვაკებს, ბრიტანელებს, პოლონელებსა და ჩეხებს დაუპირისპირდება პლეი ოფში გასასვლელად. ამ ჯგუფის პირველი ტურის შეხვედრები 4-7 აპრილს თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში გაიმართება.

B ჯგუფში (შვეიცარია) საფრანგეთი, სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ბელარუსი და მოლდოვა ითამაშებენ, ხოლო C ჯგუფში მალტა, რუსეთი, პორტუგალია, ისრაელი, ბულგარეთი და დანია გაარკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას.

**ლაშა დიდია**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!

# „ჟუჩოკების“ დამონტაჟების საქმით გამოძიება უკვე დაინტერესდა

**— ე.წ. „ჟუჩოკების“ დამონტაჟებასთან დაკავშირებით კოტე კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, — ამის შესახებ ყოფილი მანდატური თამაზ სარალიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს. მისი თქმით, „ჟუჩოკების“ თემის შესახებ, რომელსაც სასამართლოს ხელმძღვანელობა ადვოკატებს, განსასჯელებსა და ნაფიც მსაჯულებს მაგიდის ქვეშ უმონტაჟებდა, ყოფილი მანდატურები პროკურატურაში დაკითხვაზე მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. მათ გარდა, კიდევ დაკითხეს დანარჩენი მანდატურები და, ალბათ, საბოლოოდ დაიწყება ამ საქმის გამოძიება.**

— ჩვენ შეხვედრა გვქონდა ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსთან და ის შეგვპირდა, რომ დიდი გულისყურით გამოიძიებენ ამ საქმეს. უშუალოდ საქმე აღძრულია კუდის თანამშრომლების წინააღმდეგ, მაგრამ ვინაიდან იქ იკვეთება სხვისი დანაშაულის ნიშნები, მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარის, მენეჯერის, სასამართლოს მაღალი თანამდებობის პირების, გამომძიებელმა გვითხრა, რომ გამოძიება სხვა მიმართულებითაც წავა, ასე არ გაჩერდებაო, ანუ სასამართლოს თავმჯდომარესა და მენეჯერზეც დაიწყება გამოძიება და დაკითხვები შეიძლება სასამართლოშიც ჩაატარონ, დაიბარონ უშუალოდ დამნაშავე პირები. კუბლაშვილიც უნდა დაიკითხოს, რადგან მისი ბრძანებით ხდებოდა ამ დავალების შესრულება. მის დაკითხვას ხელს არაფერი უშლის, არც პარლამენტის თანხმობა სჭირდება და არც არაფერი. ჩვენებები მივეცით და დავწერეთ მის შესახებ.

**— როგორც ვიცი, სასამართლოში სარჩელი გაქვთ შეტანილი. სასამართლო პროცესისგან რას ელით?**

— მანდატურებს საჩივარი მართლაც გვაქვს შეტანილი. 13 დეკემბერს იყო საქმის განხილვა, პირველი სხდომა ჩატარდა და ეს მთავარი სხდომა მოსამართლის შეკითხვების ეტაპზე გადაიდო. 10 იანვარს სასამართლო სხდომა განახლდება. კობა გოცირიძე იყო მოსამართლე. ეს არის ის მოსამართლე, რომელმაც თავის დროზე „ქართულ ოცნებას“ 80 მილიონი ლარის ჯარიმა დააკისრა. მაინცდამაინც ამ პიროვნებას დააწერეს ჩვენი საქმე და, ფაქტობრივად, ნათელი იყო, რას ემსახურებოდა კოტე კუბლაშვილის თათბირი და მისი სიტყვებიც ჩვენს შესახებ — ნახონ, რას მოიგებენო. კობა გოცირიძეს მანამდე რაც „გაუკეთებია“, მთელმა ხალხმა იცის. ცხადია, როცა ასეთ საქმეს ისევ მას დააწერ, ის ობიექტურად ვერ განიხილავს.



**— თქვენი კოლეგა მანდატურები ჩვენთან საუბარში აღნიშნავდნენ, რომ 1 ოქტომბერს მათ არჩევნებზე წასვლას უკრძალავდნენ, რათა ხმა „ქართული ოცნებისთვის“ არ მიეცათ. თქვენზე თუ გავრცელდა ასეთი შეზღუდვა?**

— არჩევნების წინა დღეებში, სანამ თავისიანებად გვთვლიდნენ და, სანამ გაიგებდნენ ჩვენს პოლიტიკურ მრწამსს, მანამდე გვეუბნებოდნენ, დილით არჩევნებზე წადით, დასვენების დღეა და პრობლემა არ გექნებათო. თუმცა, როცა გაიგეს ჩემი პოლიტიკური სიმპათიების შესახებ, მენეჯერის დავალებით ღამის 12-ის ნახევარზე მირეკავს ერთ-ერთი ცვლის უფროსი და მეუბნება, დილის 7 საათზე უნდა გამოცხადდე სამსახურში, არ ვიცი, რა ხდებაო. ვინაიდან „ნაციონალური მოძრობის“ მიტინგზე არ ვიყავი, ამიტომ, უკვე იფიქრეს, რომ მე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავი და არ უნდა წავსულიყავი არჩევნებზე. ასე რომ, დაგვიბარეს სამსახურში ზუსტად ისინი, რომლებიც არ წავედით ნაცმოძრაობის მიტინგზე. ამის გამო გამიჩნდა შეკითხვა და გადავამოწმე ეს ფაქტი, გადავრეკე დანარჩენ თანამშრომლებთან, რომლებიც ნამყოფნი იყვნენ ნაცმოძრაობის მიტინგზე. ყველა მათგანი მეუბნებოდა, არავის დაურეკავს, ხვალ დასვენების დღეა და ვისვენებ, სახლში ვარო. ასე რამდენიმე მანდატურთან ჩამოვრეკე და ჩემთვის უკვე ნათელი გახდა, რომ გვირეკავდნენ მხოლოდ მათ, ვინც ნაცების მიტინგზე არ წავედით. ორი მანდატური ოფიციალურად თავისუფალი იყო და დილის ცხრა საათზე უნდა გაეშვათ სამსახურიდან, მაგრამ ისინი მაინც დატოვეს. ჩხუბი რომ ავტეხეთ, უცებ მენეჯერი მოვიდა თავის შვილთან ერთად და გვითხრა, სასამართლო არაფერში არ გასვაროთ, თორემ ჩემს შვილს გეფიცებით, არავის გაპატიებთო, ანუ იქვე დაგვემუქრა. ჩვენს მანდატურთან საუბარში პირდაპირ წამოსცდა, ხომ არ გგონიათ, გივი მერაბიშვილის გაშვება შეგრჩებათ, ერთი ამბავი რომ ატეხეთო. ჯერ შენთვის არ სცალიათ, არჩევნები გადაივლის და მოგხედავენო.

**— ეს ის გივი მერაბიშვილია, რომელიც ჰიპნოზურ სეანსებს გიტარებდათ?**

— დიახ, სწორედ ამ გივი მერაბიშვილის გამო ერთი ამბავი რომ ავტეხეთ, მერე გაუშვეს ეს კაცი. არ ვიცი, ვინ იყო ეს მერაბიშვილი, იყო თუ არა ვანო მერაბიშვილის ნათესავი, მაგრამ სულ ოთხჯერ მოვიდა ჩვენთან. მეოთხე ტრენინგზე ერთი ამბავი ავტეხეთ, ისიც გაიპარა და მას მერე აღარ მოსულა საერთოდ. ჰიპნოზირებას ახდენდა და ადამიანს აზომბირებდა და მისი ტრენინგების გავლის შემდეგ მას ემორჩილებოდნენ და მის წინააღმდეგ ვეღარ მიდიოდნენ. სხვათა შორის, ჩემი თანამშრომელი ვლადიმერ ბიბილური, რომელიც თავის დროზე ძალიან ეკლესიური იყო, მანამდე ერთი თვის განმავლობაში დადიოდა ამ კაცთან და ეს ადამიანი ახლა ეკლესიისკენ საერთოდ აღარ იხედება.

**მარიამ ლოლაშვილი**

---

მოკოდი აბშილავა, რეზო ფაჩულია მწუხარებით იუწყებიან დიდი ადამიანის, გამოჩენილი პოეტისა და მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა და თანაქალაქელის

**ჯემალ დავითის ძე აჯიაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ყოფილ თანამშრომელს ნინო პაპასკირს გარდაეცვალა მამა

**არველოდი პაპასკირი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვულოცავთ!

## ჩვენი კორესპონდენტი — დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატი



**ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირმა 2012 წლის პრემიის ლაურეატები გამოავლინა სხვადასხვა ნომინაციაში. რაოდენ სასიხარულოა, რომ ცნობილ ჟურნალისტსა და მწერალს, ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს რუსთავში გივი ჯახუას ჟიურიმ მიანიჭა დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია „ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის“.**

**გივი ჯახუა სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორად, 1970 წლიდან, მთელი 30 წლის განმავლობაში იყო საქტელერადიოკომიტეტის კორესპონდენტი რუსთავის ზონაში და, რაც მთავარია, და რაც გახდა სწორედაც ჩვენი ძვირფასი გივის აღიარების მიზეზი, იგი შესანიშნავი პროზაიკოსიცაა, რამდენიმე კრებულის ავტორია და კარგია, რომ ეს ყოველივე უყურადღებოდ არ დარჩა საქართველოს მწერალთა კავშირს, პირადად ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, რომელსაც დიდ მადლობას უხდის ღვაწლმოსილი მწერალი და ჟურნალისტი.**

**გილოცავთ, ჩვენო გივი, ამ მორიგ აღიარებას!**

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

---

შეუცნობელი

## მეფე არიანტის ქვაბი

**მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ცნობილი ფაქტია, რომ გაცხარებული სტალინგრადის ბრძოლის დროს, ჰიტლერმა ვერმახტის ოთხი დივიზია მაინც კავკასიის დასაპყრობად გადაისროლა. ამ, ერთი შეხედვით, უცნაური საქციელის მოტივაცია ცნობილია: იალბუზის წინა მთიანეთში იგი... ანტიკურ სიწმინდეებს ეძებდა, სადაც ზემძლავრი საკრალური იარაღი ინახებოდა, რომელიც, მისი აზრით, მსოფლიოს დაპყრობაში დაეხმარებოდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო სკვითების მეფის არიანტის ქვაბი, რომელსაც ციცერონის მიერ ისტორიის მამად წოდებულმა ჰეროდოტემ ქვეყნიერების მერვე საოცრება უწოდა. ლეგენდით, არიანტის ქვაბი დღესაც სადღაც კაზანებში, ნალჩიკის მახლობლად ხუთი მთის ქვეშაა დამალული.**

მსოფლიო ბატონობის იდეით შეპყრობილმა გერმანელმა ნაციონალ-სოციალისტებმა 1935 წელს საიდუმლო საზოგადოება „ანანერბე“ („წინაპართა მემკვიდრეობა“) შექმნეს, რომელიც დაახლოებით 50 ინსტიტუტს განკარგავდა. ძველი დროის მისტიკურ რელიკვიებს შორის იყო **ნოეს კიდობანი,** რომელიც, ბიბლიური აღწერით, ბირთვულ რეაქტორს ჰგავს; რომაელი ლეგიონერის **ლონგინოს შუბი,** რომლითაც მან ჯვარცმულ ქრისტეს მკერდი განუგმირა (სხვათა შორის, ეს ერთადერთი არტეფაქტი იყო, რომლის ხელში ჩაგდება ჰიტლერმა ვენის ოკუპაციის შედეგად შეძლო); **გრაალის თასი,** რომელშიც მარიამ მაგდალინელმა ქრისტეს სისხლის წვეთები შეაგროვა და ბოლოს სკვითების მეფის **არიანტის ქვაბი.**

ჰეროდოტე წერდა, რომ ისრების წვერებისგან დამზადებული ექვსი თითის სისქის ქვაბი 600 ამფორას იტევდა. **იგი სკვითებს ბარბაროსებად თვლიდა, მათ მეომრულ უშიშროებას და ველურ ტრადიციებს აღნიშნავდა, რომელთა შორის მოკლული მტრის სისხლის რიტუალური სმა იყო, რა დროსაც სასმის თასად გადაქცეულ მისსავე თავის ქალას იყენებდნენ, ასევე ბრძოლაში მოკლული მოწინააღმდეგის ტყავისგან შეკერილი ლაბადის ტარებას.**

გერმანელ ოკულისტთა აზრით, **სკვითური ქვაბის გაპრიალებული შიდა მხარე ეთერის შუქის შემკრები სფერული სარკე უნდა ყოფილიყო. ადამიანის თვალში ფოკუსირებული ეს სხივი მის ფსიქიკას უხილავ სამყაროს აკავშირებს, სადაც გარდაცვლილები ცხოვრობენ, მის წინასწარმეტყველურ ნიჭს სტიმულირებს და მომავლის ხილვის საშუალებას აძლევს.**

თუმცა კი მერე სხვებმა გაიხსენეს, რომ ჰეროდოტე ჰერაკლიური ღვინის ტრფიალი იყო, ჰერაკლიური ამფორა კი სტანდარტულზე ბევრად უფრო მცირე იყო და 7 ლიტრს იტევდა. **ამ შემთხვევაში ქვაბს 2,5 მეტრი დიამეტრი და 2 მეტრი სიმაღლე ექნებოდა, წონა 12 ტონას არ აღემატებოდა, ეს კი უკვე სავსებით რეალური ციფრებია, ასეთი ტვირთის გადაზიდვას მომთაბარეები თავისუფლად შეძლებდნენ. ამ პარამეტრებში სავსებით ჯდება სკვითების რაოდენობა, რომელიც დაახლოებით 320 ათასი უნდა ყოფილიყო.**

მეფე არიანტის ქვაბის ერთი სავარაუდო ადგილსამყოფელი დნეპრისა და სამხრეთ ბუგის შუამდინარეთია, ამის გარდა, დიდი ქვაბები ყაბარდო-ბალყარეთშიც უნახავთ, სადაც მათ სკვითურებს უწოდებენ. **ერთ-ერთი ასეთი ქვაბი ოდესღაც აბაევების ოჯახში იყო, სადაც ათასი ცხვარი ეტეოდა, მისი სახელი „ტაიპუკაზანი“ „ტომის ისრებიდან გაკეთებულს“ ნიშნავს და, არქეოლოგთა მტკიცებით, ქვაბში ჩასმული სნეული ცხოველები იკურნებოდნენ.** ყაბარდო-ბალყარეთში ხალხი ამბობს, რომ ბაქსანის ხეობის გამოქვაბულში კიდევ ერთი უზარმაზარი ქვაბი ინახება, დიხსუს ხეობაში კი სულაც რამდენიმეა. მაგრამ, ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ნალჩიკიდან სამხრეთ-დასავლეთით ხუთი მთაა, რომელსაც კაზანებს (ანუ „ქვაბებს“) ეძახიან და, როგორც ვარაუდობენ, მეფე არიანტის ქვაბიც სწორედ იქ უნდა იმყოფებოდეს, რომელსაც დღესდღეობითაც ეძებენ.

მეცნიერებმა არიანტის ქვაბის პარამეტრების დადგენა სცადეს და ფანტასტიკური სიდიდეები მიიღეს: მ**ისი ტევადობა 11760-დან 19440 ლიტრამდე უნდა ყოფილიყო! ამავე დროს, 1,6-დან 2,5 მეტრამდე დიამეტრის ქვაბი ერთნახევრიდან სამ სართულამდე სახლის სიმაღლისა იქნებოდა, მისი მასა 7-დან 46 ტონამდე მიაღწევდა, ხოლო კედლის სისქე 11,2-დან 13,2 სანტიმეტრამდე. მის დასამზადებლად 3,5-დან 15,5 მილიონამდე ისრის წვერი იქნებოდა საჭირო. მაშ რა გამოდის, რამდენი სკვითი სახლობდა სტეპებში? თუმცა, ასე მსჯელობა აბსურდულია იმიტომ, რომ მაშინ ისინი არავის დაემორჩილებოდნენ. აქედან მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ჰეროდოტე, მართალია, კია ისტორიის მამა, მაგრამ, ამავე დროს, მდიდარი ფანტაზიის პატრონიც.**

**ნინო ალექსანდრია**

### ინფორმაცია თემაში

**პეტერბურგელ ფსიქიატრ ვიქტორ ვეტვინს სახლში დიდი ოსტატობით დამზადებული ოდნავ შეზნექილი სარკე უკიდია. ახლობელდაკარგულ მის პაციენტებს, ვისაც დაღუპულ ახლობელთა გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, ამ სფერული სარკის წინ ნახევრად სიბნელეში საყვარელი ადამიანის ლანდის ხილვისა და მასთან ურთიერთობის შესაძლებლობა აქვთ.**

---

ინფორმაცია

## შსს-მ ახალციხეში დიდი ოდენობით მარიხუანა ამოიღო

**ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქ. ახალციხეში, ნარკოდანაშაულისთვის, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი, 1958 წელს დაბადებული გრიგორ ა. დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა ქ. ახალციხეში, ზედგენიძის ქუჩაზე, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსო-ნაგებობის ჩხრეკის შედეგად 1 კგ 495 გრ ნარკოტიკული ნივთიერება, გამომშრალი „მარიხუანა“ და 3 ცალი გამოსაყენებლად ვარგისი „ლ3“ ტიპის კაფსულა დეტონატორი ამოიღეს.**

**ექსპერტის დასკვნით, გრიგორ ა. დაკავების დროს ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

ინტერპრესნიუსი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### „ბომბორობის“ ჩემპიონები



**ერთ დღეს ნიუ-იორკის ცხოველთა თავშესაფარ „ენიმალ ჰეივენს“ იმდენად უჩვეულო კატა შეეკედლა, რომ მის შესახებ რამდენიმე ადგილობრივმა ტელეარხმა უმალ რამდენიმე სიუჟეტი გადასცა.**

ცეცხლივით ჟღალი კატა, რომელსაც თავშესაფრის თანამშრომლებმა ღრუბელა ბობი შეარქვეს, დაახლოებით 9 წლისა უნდა იყოს, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მისი ნიშანი მაინც წონაა: ხვადი 15 კილოგრამს იწონის! ჭარბი წონის გამო ღრუბელა ბობის უმალ დიეტა და ფიზიკური ვარჯიშები დაუნიშნეს, მით უმეტეს, რომ მაწანწალა ცხოვრების მიუხედავად, იგი სავსებით ჯანმრთელია.

მანამდე კი კატების რეკორდსმენი 18-კილოგრამიანი მაუ იყო, რომლის გახდომას ნიუ-მეხიკოს თავშესაფრის თანამშრომლები ამაოდ ცდილობდნენ: წლეულს მაისში თეთრ-ჟღალი კატა სიმსუქნით გარდაიცვალა, რადგან ფილტვებმა უმტყუნეს: ადამიანის წონაზე რომ გადავიყვანოთ იგი 272 კილოგრამს იწონიდა!

გინესის რეკორდების წიგნის არსებობის ისტორიაში ყველაზე მსუქანი კატა კი ავსტრალიელი ჰიმი იყო, რომლის წონა 21,3 კილოგრამს აღწევდა.

### ნიანგი და... სიყვარული



**ზოგიერთის მტკიცებით ნიანგი — ერთობ გონებაჩლუნგი და უაღრესად ბოროტი არსებაა, რომელსაც კაცი ვერაფრით გაწვრთნის.**

„ეს ცილისწამებაა!“ — ამბობს ამის პასუხად ავსტრალიელი იოჰან გრამნიჩი. მისი თქმით, ნიანგის კეთილ შინაურ ცხოველად გადაქცევა სავსებით რეალურია. ათი წლის წინათ მან ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის პაწაწინა ნიანგი შეიძინა და მას ჯოკი დაარქვა. ახლა ჯოკი გაიზარდა, მაგრამ თავის პატრონს ძველებურად ფინიასავით ეფერება და ექლერსავება. ისინი სასეირნოდაც ერთად დადიან და მდინარეშიც ერთად ბანაობენ.

— ნიანგი ძალიან მგრძნობიარეა ალერსის მიმართ, — ამბობს მისტერ გრამნიჩი. — არადა, აქამდე მას სიყვარულით განა ვინმე მოქცევია?..

### როცა ყველაფერი კარგადაა



**ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, დილა — დღის ყველაზე ბედნიერი დროა. ამ დასკვნის გამოსატანად მათ მსოფლიოს 80 ქვეყნის ტვიტერის სოციალური ქსელის მომხმარებლის დაახლოებით 600 მილიონი შეტყობინება გააანალიზეს.**

ამ ცნობებში მეცნიერები, პირველ ყოვლისა, ემოციების მიმანიშნებელ სიტყვებს ეძებდნენ. კერძოდ, სიტყვები „სუპერ“, „ჩინებული“ და „ფანტასტიკური“ მომხმარებლის კარგ გუნება-განწყობას მიანიშნებენ, ხოლო „მეშინია“, „ვღელავ“, „სამწუხაროა“ — ცუდს.

სტატისტიკა მოწმობს, რომ კვირის დღისდა მიუხედავად, მომხმარებელთა უმრავლესობის გუნება-განწყობა, საღამოსკენ უარესდება. ბედნიერების პიკები ფიქსირდება საახალწლოდ, შობისთვის და, ზოგადად, დეკემბრიდან იანვრამდე პერიოდში.

### ეს „ძაღლური სამყარო“



**ყველაზე პატარა ძაღლი დედამიწაზე პუერტო-რიკოს ქალაქ ვეგა ალტაში ცხოვრობს. ესაა ჩიხუა-ხუას ჯიშის ძუ მილი, რომელიც 170 გრამს (ბანანზე უფრო ნაკლებს!) იწონის, მისი სიმაღლე კი 6,53 სანტიმეტრია.**

მილის პატრონის თქმით, დაბადებიდან იგი, ფაქტობრივად, არ გაზრდილა, მცირე ზომის გამო დედის რძესაც ვერ ჭამდა და დღესაც პიპეტით კვებავენ.

ახლახან გამოსულ გინესის რეკორდების წიგნის მორიგ გამოცემაში მოხვედრილი ყველაზე პატარა ლეკვი ამ გაზაფხულზე კალიფორნიაში გაჩნდა. დაბადებისას ტაქსას ლეკვი ბეიონსე 28 გრამს იწონიდა და ჩაის კოვზში ეტეოდა! პატარას გულისცემის ძალაც კი არ ყოფნიდა, მაგრამ ვეტერინარებმა შეძლეს მისი გადარჩენა. ნახევარ წელიწადში ლეკვმა წონაში მთელი ასი გრამი მოიმატა!

არადა, დღესდღეობით ყველაზე დიდი ძაღლია მიჩიგანელი ზევს დენიზ დურლაგი, რომლის სიმაღლეა 1,18 მეტრი, უკანა თასებზე დამდგარი კი 2,20 მეტრს აღწევს. დღეში იგი 13 კილოგრამ საჭმელს ჭამს და 70 კილოგრამს იწონის.

ტეხასელ ბოსტონ-ტერიერ ბრუსაკის თვალების დიამეტრია 2,8 სანტიმეტრი. უზარმაზარი ზომის გამო მას შარშან ცალი თვალი ამოუვარდა, თუმცა ექიმებმა მისი ბუდეში დაბრუნება შეძლეს, რის შედეგად ძაღლი დაელამდა.

### ენაწყლიანი შიმპანზე



**ოთხი წლის პატარა მაიმუნ ვილის ჯორჯიის შტატის ატლანტის მეტყველების შესწავლის ცენტრის მეცნიერებმა „ვუნდერკინდი“ უწოდეს.**

ცენტრის მუშაობის მრავალი წლის მანძილზე, მეცნიერები ადამიანისებრ მაიმუნებში მეტყველების განვითარებას ცდილობდნენ და ეს პირველი შემთხვევაა, როცა მათი „მოწაფე“ ლაპარაკს უშუალოდ თამაშის ანდა უშუალოდ ადამიანთან ურთიერთობისას ცდილობდნენ. ვილი უშეცდომოდ ასახელებს საგანგებო სქემაზე სიმბოლოებით აღნიშნულ საგნებს და მარტივი წინადადებებით გარკვეულად „საუბრობს“ კიდეც. მაგალითად, მისი საყვარელი ფრაზაა „ ეს მე ვარ“.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ყოველივე ეს არა მარტო ვილის არაჩვეულებრივი ნიჭის გამოა, არამედ ეს თვისება ყველა დიდთავა ჯუჯა შიმპანზეს დამახასიათებელი ნიშანია, რომლებიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ზაირის ჯუნგლებში აღმოაჩინეს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „ეს საკონსტიტუციო ცვლილებები საპარლამენტო რესპუბლიკამდე მიგვიყვანს“

— ამბობს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი, — რაც „ქართული ოცნების“ ლიდერების პოლიტიკური კონცეფციის ნაწილია. ამგვარ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს ექსკლუზიური უფლებამოსილება აღარ ექნება. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ხომ განაცხადა, კონსტიტუციას შევასწორებთ და ორგანოთა სისტემას საპარლამენტო რესპუბლიკის დონემდე დავიყვანთო. ამ ცვლილებების მიღების შემთხვევაში, პარლამენტის როლი გაიზრდება, რაც სახალხო სუვერენიტეტის გაზრდას ნიშნავს.

**„ყველა სიახლე“**

### ირაკლი ოქრუაშვილი, შესაძლოა, გაათავისუფლონ

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, შესაძლოა, თავისუფალ ცხოვრებას დაუბრუნდეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ დღეებში ოქრო „სვაბოდაზე“ გამოვა, პროკურატურაში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ ეს საუბრები კიდევ უფრო აქტუალური გახდა. პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ განაცხადა: „საქმეში არსებული მასალების ანალიზის შემდეგ პროკურატურა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მასალებში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ნამდვილად ჩაიდინა შერაცხილი დანაშაულები და 2013 წლის 5 იანვარს ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა“.

**„ახალი თაობა“**

### „ვისოლსა“ და „სოკარს“ მალე კონკურენტები გამოუჩნდებიან

ცნობილი კომპანიების — „ვისოლის“, „სოკარის“, „რომპეტროლისა“ და „ლუკოილის“ გვერდით, ნავთობპროდუქტის ბაზარზე რამდენიმე ახალი კომპანია გამოჩნდება. მათ შორის, პირველი „სენტა“ იქნება, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ამ ბაზრიდან თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის „გალფმა“ გააძევა. „ვერსიის“ ინფორმაციით, „სენტას“ ხელმძღვანელი ზაალ იაკობიძე უკვე ბენზინგასამართ სადგურებს ყიდულობს. საინტერესოა, რა სიახლეს შესთავაზებს იგი სამომხმარებლო ბაზარს.

**„ვერსია“**

**რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი




## ანეკდოტები

— ეჰ, რა ბედნიერად ვცხოვრობდით მე და ჩემი ცოლი ოცი წელიწადი! — დანანებით ეუბნება ტიპი ძმაკაცს.

— მერე რა მოხდა?

— მერე ერთმანეთს შევხვდით.

* * *

— რატომ ხარ ასეთი დამწუხრებული?

— რატომ და, წუხელ დამესიზმრა, რომ საოცრად ლამაზი გოგო გავიცანი.

— და რით ხარ უკმაყოფილო?

— ცოლმა სწორედ მაშინ გამაღვიძა, როცა იმ გოგოს ტელეფონი უნდა ჩამეწერა.



* * *

— შენს ცოლს ჯერაც უყვარხარ? — ეკითხება პეტკა ივანს.

— ჰო, მაგრამ ახლა უფრო ძვირი მიჯდება მისი შენახვა.

* * *

სახლში მოულოდნელად დაბრუნებულმა ტიპმა ცოლს საყვარელთან მიუსწრო საწოლში და მოულოდნელობისგან გაშეშდა.

— რა შტერივით დგახარ? შენი საუკეთესო მეგობარი ვერ იცანი?

* * *

ცოლ-ქმარი სუპერმარკეტიდან გამოდის.

— იცი, რატომ ვიტირე? — ეკითხება ცოლი.

— ვიცი, მე იმდენი ფული არა მაქვს.

* * *

— რატომ დაიგვიანე?

— ბალიშის კუთხეს დავკარი თავი და ორი საათით დავკარგე გონება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com